

საქართველოს მთავრობის

დადგენილება 164

2023 წლის 26 აპრილი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – სივრცის გამათბობლის, კომბინირებული გამათბობლის, სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტებისა და კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტების ენერგოეტიკეტირების წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – სივრცის გამათბობლის, კომბინირებული გამათბობლის, სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტებისა და კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტების ენერგოეტიკეტირების წესი“.

მუხლი 2

ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს მიიჩნევა, რომ აკმაყოფილებს „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილების დანართით გათვალისწინებული ქვეყნების მოთხოვნებთან შესაბამისობა, რომელიც დასტურდება ამავე ქვეყნებში შესაბამისობის შეფასებისთვის დადგენილი წესით, მათ შორის, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტებით.

მუხლი 3

ამ დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა შესაბამის პირს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



ტექნიკური რეგლამენტი – სივრცის გამათბობლის, კომბინირებული გამათბობლის, სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტებისა და კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტების ენერგოეტიკეტირების წესი

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზანი

1. ტექნიკური რეგლამენტი – „სივრცის გამათბობლის, კომბინირებული გამათბობლის სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტების და კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე“ (შემდგომ – ტექნიკური რეგლამენტი) ადგენს ეტიკეტირებისა და პროდუქტის შესახებ სტანდარტული და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნებს, იმ სივრცის გამათბობლებისა და კომბინირებული გამათბობლებისთვის, რომელთა სითბოს ნომინალური მოცულობა არის ≤ 70 კვტ-ს, სივრცის გამათბობლის კომპლექტებისთვის, რომლებისთვისაც სითბოს ნომინალური მოცულობა ≤ 70 კვტ-ს, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის და კომბინირებული გამათბობლის კომპლექტებისთვის, რომლებისთვისაც სითბოს ნომინალური მოცულობა ტოლია ≤ 70 კვტ-ს, და ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელისთვის.
2. ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება არ ვრცელდება გამათბობლებზე, რომლებიც:
 - ა) განკუთვნილია აირისებრი ან თხევადი საწვავის გამოყენებისთვის, რომლებიც ძირითადად წარმოებულია ბიომასისგან;
 - ბ) იყენებენ მყარ საწვავს;
 - გ) გამოიმუშავენ სითბოს მხოლოდ ცხელი სასმელი ან საყოფაცხოვრებო წყლის მისაღებად;
 - დ) განკუთვნილია აირისებრი სითბოს, როგორიცაა ორთქლი ან ჰაერი, გადაცემის საშუალებების გათბობისა და განაწილებისთვის;
 - ე) წარმოადგენს კოგენერაციის სივრცის გამათბობელს, რომლის მაქსიმალური ელექტრული სიმძლავრე ტოლია ან მეტია 50 კვტ-ს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) გამათბობელი – სივრცის გამათბობელი ან კომბინირებული გამათბობელი;
 - ბ) სივრცის გამათბობელი – მოწყობილობა, რომელიც:
 - ბ.ა) უზრუნველყოფს წყლის ცენტრალური გათბობის სისტემის გათბობას, ოთახის სასურველი ტემპერატურის მისაღწევად და შესაანარჩუნებლად დახურულ სივრცეში, როგორიცაა შენობა, საცხოვრებელი სახლი ან ოთახი, და
 - ბ.ბ) აღჭურვილია ერთი ან რამდენიმე თბოგენერატორით;
 - გ) კომბინირებული გამათბობელი – სივრცის გამათბობელი, რომელიც განკუთვნილია ასევე ცხელი სასმელი ან საყოფაცხოვრებო წყლის მისაღებად საჭირო სითბოს უზრუნველსაყოფად განსაზღვრული ტემპერატურის დონეზე, რაოდენობები და ნაკადის სიჩქარე განსაზღვრულ ინტერვალებში და უკავშირდება სასმელი ან საყოფაცხოვრებო წყლის გარე წყაროს;

დ) წყლის ცენტრალური გათბობის სისტემა – სისტემა, რომელიც იყენებს წყალს, როგორც სითბოს გადაცემის საშუალებას ცენტრალურად წარმოქმნილი სითბოს გადასანაწილებლად სითბოს გამომყოფ მოწყობილობებზე შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების გასათბობად;

ე) თბოგენერატორი – გამათბობლის ნაწილი, რომელიც წარმოქმნის სითბოს შემდეგი ერთი ან რამდენიმე პროცესის გამოყენებით:

ე.ა) წიაღისეული საწვავის ან / და ბიომასის საწვავის წვა;

ე.ბ) ჯოვლის ეფექტის გამოყენება ელექტრული წინაღობის გამათბობელ ელემენტებში;

ე.გ) ატმოსფერული სითბოს აღება ჰაერის წყაროდან, წყლის წყაროდან ან მიწის წყაროდან და/ან ნარჩენების სითბო;

ვ) ნომინალური სითბოს მოცულობა (*Prated*) – გამათბობლის დეკლარირებული სითბოს მოცულობა სივრცის გათბობის დროს და წყლის გათბობა სტანდარტულ ნომინალურ პირობებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოხატული კვტ-ში. თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლებისთვის და თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლებისთვის სტანდარტული ნომინალური პირობები, რაც საჭიროა ნომინალური სითბოს მოცულობის მისაღებად, წარმოადგენს დიზაინის სანიმუშო პირობებს, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-10 ცხრილის შესაბამისად;

ზ) სტანდარტული ნომინალური პირობები – გამათბობლის საოპერაციო პირობები საშუალო კლიმატურ პირობებში, რაც საჭიროა ნომინალური სიმძლავრის, სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის, წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის და ხმის სიმძლავრის დონის მისაღებად;

თ) ბიომასა – პროდუქტის, ნარჩენების და ბიოლოგიური წარმოშობის ნარჩენების ბიოდეგრადირებად ნაწილი (მათ შორის მცენარეული და ცხოველური ნივთიერებები), რომელიც წარმოიშობა სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ ინდუსტრიაში, თევზჭერის და აკვაკულტურის ჩათვლით, აგრეთვე სამრეწველო და მუნიციპალური ნარჩენების ბიოდეგრადირებადი ნაწილი;

ი) ბიომასის საწვავი – აირისებრი ან თხევადი საწვავი, რომელიც მიიღება ბიომასიდან;

კ) წიაღისეული საწვავი – წიაღისეული წარმოშობის აირისებრი ან თხევადი საწვავი;

ლ) კოგენერაციის სივრცის გამათბობელი – სივრცის გამათბობელი, რომელიც ერთდროულად გამოიმუშავებს სითბოს და ელექტროენერგიას ერთ პროცესში;

მ) ტემპერატურის მარეგულირებელი – მოწყობილობა, რომელიც უკავშირდება მომხმარებელს სასურველი შიდა ტემპერატურის მნიშვნელობებსა და დროსთან დაკავშირებით და გადასცემს შესაბამის მონაცემებს გამათბობელს, როგორცაა ცენტრალური დამუშავების განყოფილება, რითაც ხელს უწყობს შიდა ტემპერატურის რეგულირებას;

ნ) მზის პანელი – მხოლოდ მზის სისტემის მოწყობილობა, მზის სხივების შემკრები მოწყობილობა, მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზი ან ტუმბო, შემკრები მოწყობილობის კვანძში, რომლებიც ბაზარზე ცალ-ცალკეა განთავსებული;

ო) მხოლოდ მზის სისტემის მოწყობილობა – მოწყობილობა, რომელიც აღჭურვილია ერთი ან მეტი მზის სხივების შემკრები მოწყობილობით და მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზებით და შესაძლოა ტუმბოებით შემკრები მოწყობილობის კვანძში და სხვა ნაწილებში, რომელიც ბაზარზე განთავსებულია, როგორც ერთი ერთეული და არ არის აღჭურვილი თბოგენერატორით, გარდა შესაძლო ერთი ან მეტი სარეზერვო წყალქვეშა გამათბობლისა;

პ) მზის სხივების შემკრები მოწყობილობა – მოწყობილობა, რომელიც შექმნილია გლობალური მზის სხივების შთანთქმისა და მისი გავლით ამგვარად გამომუშავებული სითბოს ენერგიის სითხედ გარდაქმნის მიზნით;

ჟ) ცხელი წყლის შემნახველი ავზი – ცხელი წყლის შესანახი ჭურჭელი, ცხელი წყლის ან სივრცის გათბობის მიზნით, ნებისმიერი დანამატის ჩათვლით, რომელიც არ არის აღჭურვილი თბოგენერატორით, გარდა ერთი ან მეტი სარეზერვო წყალქვეშა გამათბობლისა;

რ) მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზი – ცხელი წყლის შესანახი ავზი, რომელიც ინახავს ერთი ან მეტი მზის სხივების შემკრები მოწყობილობის მიერ გამომუშავებულ სითბოს ენერგიას;

ს) სარეზერვო წყალქვეშა გამათბობელი – ელექტრული წინაღობის გამათბობელი ჯოულის ეფექტით, რომელიც წარმოადგენს ცხელი წყლის შემნახველი ავზის ნაწილს და წარმოქმნის სითბოს მხოლოდ მაშინ, როდესაც გარე სითბოს წყაროს მომარაგება შეჩერებულია (მათ შორის, შეკეთების პერიოდში) ან მწყობრიდან არის გამოსული, ან არის მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის ნაწილი და უზრუნველყოფს სითბოს, როდესაც მზის სითბოს წყარო არ არის საკმარისი კომფორტის საჭირო დონის დასაკმაყოფილებლად;

ტ) სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტი – კომპლექტი, რომელიც შეთავაზებულია მომხმარებლისთვის და მოიცავს ერთ ან მეტ სივრცის გამათბობელს, რომელიც კომბინირებულია ერთ ან მეტ ტემპერატურის მარეგულირებელთან ან ერთ ან მეტ მზის პანელთან;

უ) კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტი – კომპლექტი, რომელიც შეთავაზებულია მომხმარებლისთვის და მოიცავს ერთ ან მეტ კომბინირებულ გამათბობელს, რომელიც კომბინირებულია ერთ ან მეტ ტემპერატურის მარეგულირებელთან ან ერთ ან მეტ მზის პანელთან;

ფ) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა (η_s) – სივრცის გამათბობლის, კომბინირებული გამათბობლის, სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტის ან კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტის მეშვეობით მიწოდებული განსაზღვრული გათბობის სეზონისთვის სივრცის გათბობის მოთხოვნასა და ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო წლიური ენერგიის მოხმარებას შორის თანაფარდობა, გამოხატული %-ში;

ქ) წყლის გათბობის ენერგოეფექტურობა (η_{wh}) – კომბინირებული გამათბობლის ან კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტის მიერ სასმელ ან საყოფაცხოვრებო წყალში მიღებულ სასარგებლო ენერგიასა და მისი წარმოქმნისთვის საჭირო ენერგიას შორის თანაფარდობა, გამოხატული %-ში;

ღ) ხმის სიმძლავრის დონე (LWA) – A-შეწონილი ხმის სიმძლავრის დონე, შიდა ან/და გარე სივრცეში გამოხატული დეციბელში;

ყ) ბოილერის სივრცის გამათბობელი – (მე-5 მუხლის 1-4 ნახაზებში მოხსენიებული „ბოილერის“ მიზნებისთვის) სივრცის გამათბობელი, რომელიც სითბოს წარმოქმნის წიაღისეული ან/და ბიომასის საწვავის წვის შედეგად, ან/და რომელიც ელექტრული წინაღობის გათბობის ელემენტებისთვის იყენებს ჯოულის ეფექტს;

შ) ბოილერის კომბინირებული გამათბობელი – (მე-5 მუხლის 1-4 ნახაზებში მოხსენიებული „ბოილერის“ მიზნებისთვის) ბოილერის სივრცის გამათბობელი, რომელიც შექმნილია სასმელი ან საყოფაცხოვრებო წყლის მისაღებად საჭირო სითბოს უზრუნველსაყოფად განსაზღვრული

ტემპერატურის დონეზე, რაოდენობები და ნაკადის სიჩქარე განსაზღვრულ ინტერვალებში და უკავშირდება სასმელი ან საყოფაცხოვრებო წყლის გარე წყაროს;

ბ) თბური ტუმბოს სივრცის გამათბობელი – (მე-5 მუხლის 1-3 ნახაზებში მოხსენიებული „თბური ტუმბოს“ მიზნებისთვის) სივრცის გამათბობელი, რომელიც სითბოს წარმოქმნისთვის იყენებს ატმოსფერული სითბოს ჰაერის წყაროს, წყლის წყაროს ან მიწის წყაროს ან/და ნარჩენ სითბოს. თბური ტუმბოს სივრცის გამათბობელი შეიძლება იყოს აღჭურვილი ერთი ან მეტი დამატებითი გამათბობლით, ელექტრული წინაღობის გათბობის ელემენტებისთვის ჯოულის ეფექტის გამოყენებით, ან წიაღისეული ან/და ბიომასის საწვავის წვით;

გ) თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობელი – (მე-5 მუხლის 1-3 ნახაზებში მოხსენიებული „თბური ტუმბოს“ მიზნებისთვის) თბური ტუმბოს სივრცის გამათბობელი, რომელიც შექმნილია ასევე სასმელი ან საყოფაცხოვრებო წყლის მისაღებად საჭირო სითბოს უზრუნველსაყოფად განსაზღვრული ტემპერატურის დონეზე, რაოდენობები და ნაკადის სიჩქარე განსაზღვრულ ინტერვალებში და უკავშირდება სასმელი ან საყოფაცხოვრებო წყლის გარე წყაროს;

დ) დამატებითი გამათბობელი – არაპრეფერენციული გამათბობელი, რომელიც გამოიმუშავებს სითბოს იმ შემთხვევებში, როდესაც სითბოს მოთხოვნა უფრო მეტია, ვიდრე პრეფერენციული გამათბობლის სითბოს ნომინალური მოცულობა;

ე) დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა (P_{sup}) – დამატებითი გამათბობლის დეკლარირებული სითბოს მოცულობა სივრცის გათბობის და წყლის გათბობის დროს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სტანდარტულ ნომინალურ პირობებში, გამოხატული კვტ-ში. თუკი დამატებითი გამათბობელი არის თბური ტუმბოს სივრცის გამათბობელი ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობელი, დამატებითი გამათბობლის სტანდარტული ნომინალური პირობები ნომინალური სითბოს მოცულობის დასადგენად არის გარე ტემპერატურა $T_j = +7^\circ\text{C}$;

ჟ) გარე ტემპერატურა (T_j) – მშრალი ბოლქვის ჰაერის გარე ტემპერატურა, გამოხატული ცელსიუსში. ასევე, ფარდობითი ტენიანობა, რომელიც შეიძლება მითითებული იყოს შესაბამისი სველი ბოლქვის ტემპერატურით;

ბ) წლიური ენერგიის მოხმარება (Q_{HE}) – გამათბობლის წლიური ენერგიის მოხმარება, რაც საჭიროა სივრცის გათბობისთვის გათბობის განსაზღვრულ სეზონზე გათბობის ყოველწლიური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით გამოხატული კვტ.სთ-ში ან/და GCV-ის თვალსაზრისით გამოხატული გიგაჯოულში;

ჯ) ლოდინის რეჟიმი – მდგომარეობა, როდესაც მოწყობილობა ჩართულია კვების წყაროში, დამოკიდებულია კვების წყაროდან მოწოდებულ ენერგიაზე, რათა იმუშაოს დანიშნულებისამებრ და უზრუნველყოფს მხოლოდ იმ ფუნქციების შესრულებას, რომლებიც შეიძლება განუსაზღვრელი დროით გაგრძელდეს. ეს ფუნქციებია: რეაქტივაციის ფუნქცია, ან რეაქტივაციის ფუნქცია და მხოლოდ მითითება ჩართული რეაქტივაციის ფუნქციაზე, ან/და ინფორმაციის ან სტატუსის ჩვენება;

ჰ) ელექტროენერგიის მოხმარება ლოდინის რეჟიმში (P_{SB}) – გამათბობლის ელექტროენერგიის მოხმარება ლოდინის რეჟიმში, გამოხატული კვტ-ში;

3¹) კონვერსიის კოეფიციენტი (CC) – კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა ტოლია 2,5-ის;

3²) მთლიანი თერმული მნიშვნელობა (GCV) – სითბოს საერთო რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა საწვავის ერთეული რაოდენობით, როდესაც ის სრულად იწვის ჟანგბადით და როდესაც წვის პროდუქტები უბრუნდება გარემო ტემპერატურას. ეს რაოდენობა მოიცავს წყლის ორთქლის

კონდენსაციის სითბოს, რომელსაც შეიცავს საწვავი და რომელიც წარმოიქმნება საწვავში ნებისმიერი წყალბადის წვის შედეგად;

3³) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა აქტიურ რეჟიმში (η_{son}) -

3^{3.ა}) საწვავის ბოილერის სივრცის გათბობისა და საწვავის ბოილერის კომბინირებული გათბობისთვის, სასარგებლო ეფექტურობა შეწონილი საშუალო მაჩვენებლის ნომინალურ სითბოს მოცულობაზე და სასარგებლო ეფექტურობა ნომინალური სითბოს მოცულობის 30%-ზე;

3^{3.ბ}) ელექტრობოილერის სივრცის გათბობისა და ელექტრობოილერის კომბინირებული გათბობისთვის, სასარგებლო ეფექტურობა ნომინალურ სითბოს მოცულობაზე, გამოხატული %-ში;

3^{3.გ}) კოგენერაციის სივრცის გათბობისთვის, რომელიც არ არის აღჭურვილი დამატებითი გათბობით, სასარგებლო ეფექტურობა ნომინალურ სითბოს მოცულობაზე, გამოხატული %-ში;

3^{3.დ}) კოგენერაციის სივრცის გათბობისთვის, რომელიც აღჭურვილია დამატებითი გათბობით, სასარგებლო ეფექტურობის შეწონილი საშუალო მაჩვენებელი ნომინალურ სითბოს მოცულობაზე, როდესაც დამატებითი გათბობელი გათიშულია და სასარგებლო ეფექტურობის შეწონილი საშუალო მაჩვენებელი ნომინალურ სითბოს მოცულობაზე, როდესაც დამატებითი გათბობელი ჩართულია, გამოხატული %-ში;

3⁴) სასარგებლო ეფექტურობა (η) - ბოილერის სივრცის გათბობის, ბოილერის კომბინირებული გათბობის ან კოგენერაციის სივრცის გათბობის სასარგებლო სითბოს მოცულობასა და მათ მიერ მოხმარებულ ენერგიას შორის თანაფარდობა, გამოხატული %-ში, სადაც მთლიანი მოხმარებული ენერგია გამოიხატება GCV -ით ან/და საბოლოო ენერგია გამრავლებული CC-ზე;

3⁵) სასარგებლო სითბოს მოცულობა (P) - ბოილერის სივრცის გათბობის, ბოილერის კომბინირებული გათბობის ან კოგენერაციის სივრცის გათბობის სითბოს მოცულობა, რომელიც გადაეცემა სითბოს გადამტანს, გამოხატული კვტ-ში;

3⁶) ელექტროეფექტურობა (η_{el}) - კოგენერაციის სივრცის გათბობის ელექტროენერგიის მოცულობისა და მთლიანი ენერგიის მოცულობის თანაფარდობა, გამოხატული %-ში, სადაც მთლიანი მოხმარებული ენერგია გამოიხატება GCV-ით ან/და საბოლოო ენერგია გამრავლებული CC-ზე;

3⁷) სანთურის ანთების ენერგომოხმარება (P_{ign}) - სანთურის ენერგომოხმარება, რაც გათვალისწინებულია ძირითადი სანთურის ასანთებად, გამოხატული ვატში GCV-ის თვალსაზრისით;

3⁸) კონდენსაციის ბოილერი - ბოილერის სივრცის გათბობელი ან ბოილერის კომბინირებული გათბობელი, რომელშიც ნორმალურ საოპერაციო პირობებში და შესაბამის საოპერაციო წყლის ტემპერატურაზე, წვის პროდუქტებში წყლის ორთქლი ნაწილობრივ კონდენსირდება, იმისთვის, რომ წყლის ორთქლის პოტენციური სითბო გამოყენებულ იქნეს გათბობის მიზნებისთვის;

3⁹) დამხმარე ელექტროენერგიის მოხმარება - ბოილერის სივრცის გათბობის, ბოილერის კომბინირებული გათბობის ან კოგენერაციის სივრცის გათბობის განსაზღვრული ფუნქციონირებისთვის საჭირო წლიური ელექტროენერგია, რომელიც გამოითვლება ელექტროენერგიის მოხმარებიდან სრულ დატვირთვაზე (el_{max}), ნაწილობრივ დატვირთვაზე (el_{min}), ლოდინის რეჟიმში და ნაგულისხმევი საოპერაციო საათებიდან თითოეულ რეჟიმში, საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით გამოხატული კვტ.სთ-ში;

3¹⁰) ლოდინის რეჟიმის სითბოს დანაკარგი (P_{stby}) – ბოილერის სივრცის გამათბობლის, ბოილერის კომბინირებული გამათბობლის ან კოგენერაციის სივრცის გამათბობლის სითბოს დანაკარგი საოპერაციო რეჟიმში სითბოს მოთხოვნის გარეშე, გამოხატული კვტ-ში;

3¹¹) შესრულების ნომინალური კოეფიციენტი (COP_{rated}) ან ნომინალური ძირითადი ენერგიის თანაფარდობა (PER_{rated}) – დეკლარირებული სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, გაყოფილი ენერგიის მოცულობაზე, გამოხატული კვტ-ში GCV-ს თვალსაზრისით ან/და კვტ-ში გამრავლებული CC-ზე საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით, სტანდარტულ ნომინალურ პირობებში გათბობისთვის;

3¹²) დიზაინის საცნობარო პირობები – სანიმუშო დიზაინის ტემპერატურისთვის დადგენილი მოთხოვნების, მაქსიმალური ორვალტიანი ტემპერატურისა და მაქსიმალური საოპერაციო ზღვრული ტემპერატურის კომბინაცია, ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-10 ცხრილის შესაბამისად;

3¹³) დიზაინის საცნობარო ტემპერატურა ($T_{designh}$) – გარე ტემპერატურა გამოხატული ცელსიუსში, ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-10 ცხრილის შესაბამისად, რომელზეც ნაწილობრივი დატვირთვის კოეფიციენტი 1-ის ტოლია;

3¹⁴) ნაწილობრივი დატვირთვის კოეფიციენტი ($pl(T_i)$) – გარე ტემპერატურა გამოკლებული 16°C , გაყოფილი დიზაინის სანიმუშო ტემპერატურას გამოკლებული 16°C -ზე;

3¹⁵) გათბობის სეზონი – საოპერაციო პირობების ერთობლიობა საშუალო, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, თითოეული კლასისთვის აღწერს გარე ტემპერატურისა და იმ საათების რაოდენობის კომბინაციას, რომლის დროსაც აღნიშნული ტემპერატურა ფიქსირდება თითოეულ სეზონზე;

3¹⁶) კლასი (bin_i) – გარე ტემპერატურის და კლასის საათების კომბინაცია, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-12 ცხრილის შესაბამისად;

3¹⁷) კლასის საათები (H_i) – საათების რაოდენობა თითოეულ გათბობის სეზონზე, გამოხატული საათებში თითოეულ წელს, როდესაც გარე ტემპერატურა ფიქსირდება თითოეულ კლასზე, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-12 ცხრილის შესაბამისად;

3¹⁸) ნაწილობრივი დატვირთვა გათბობისთვის ($Ph(T_i)$) – გათბობის დატვირთვა კონკრეტულ გარე ტემპერატურაზე, რომელიც გამოითვლება როგორც დიზაინის დატვირთვა გამრავლებული ნაწილობრივი დატვირთვის თანაფარდობაზე და გამოხატულია კვტ-ში;

3¹⁹) შესრულების სეზონური კოეფიციენტი ($SCOP$) ან ძირითადი ენერგიის სეზონური კოეფიციენტი ($SPER$) – თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის, რომელიც იყენებს ელექტროენერგიას, შესრულების საერთო კოეფიციენტი, ან თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის, რომელიც იყენებს საწვავს, ძირითადი ენერგიის სეზონურ კოეფიციენტი დამახასიათებელი მთელი განსაზღვრული გათბობის სეზონისთვის, რომელიც გამოითვლება ნომინალური წლიური გათბობის მოთხოვნის გაყოფით გათბობის წლიური ელექტროენერგიის მოხმარებაზე;

3²⁰) ნომინალური წლიური გათბობის მოთხოვნა (Q_H) – ნომინალური გათბობის მოთხოვნა, რომელიც ეხება განსაზღვრულ გათბობის სეზონს, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს $SCOP$ -ის ან $SPER$ -ის გამოსათვლელად და წარმოადგენს გათბობის ნომინალური დატვირთვისა და გათბობის სეზონური ეკვივალენტური აქტიური რეჟიმის საათების ნამრავლს;

3²¹) გათბობის ეკვივალენტური აქტიური რეჟიმის საათები (H_{HE}) – სავარაუდო წლიური საათების რაოდენობა, როდესაც თბური ტუმბოს სივრცის გამათბობელმა ან თბური ტუმბოს კომბინირებულმა გამათბობელმა, უნდა უზრუნველყოს გათბობის ნომინალური დატვირთვა გათბობის ნომინალური წლიური მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, გამოხატული საათებში;

3²²) აქტიური რეჟიმის შესრულების კოეფიციენტი ($SCOP_{on}$) ან აქტიური რეჟიმის ძირითადი ენერგიის კოეფიციენტი (SPE_{on}) – განსაზღვრული გათბობის ფუნქციისთვის თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის, საშუალო შესრულების კოეფიციენტი აქტიურ რეჟიმში ან თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის, რომელიც იყენებს საწვავს, ძირითადი ენერგიის საშუალო კოეფიციენტი აქტიურ რეჟიმში;

3²³) გათბობის სარეზერვო სიმძლავრე ($sup(T_i)$) – დამატებითი გამათბობლის ნომინალურ სითბოს მოცულობა P_{sup} , რომელიც გათბობის მითითებულ მოცულობას ავსებს გათბობის ნაწილობრივი დატვირთვის მიღწევის მიზნით, თუკი გათბობის მითითებული მოცულობა ნაკლებია გათბობის ნაწილობრივ დატვირთვაზე, გამოხატული კვტ-ში;

3²⁴) კლასის სპეციფიკური შესრულების კოეფიციენტი ($COP_{bin}(T_i)$) ან კლასის სპეციფიკური ძირითადი ენერგიის კოეფიციენტი ($PER_{bin}(T_i)$) – თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის, რომელიც იყენებს ელექტროენერგიას, შესრულების კოეფიციენტი ან თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის, რომელიც იყენებს საწვავს, ძირითადი ენერგიის კოეფიციენტი დამახასიათებელი თითოეული კლასისთვის სეზონზე, რომელიც მიღებულია ნაწილობრივი დატვირთვისგან, გათბობის მითითებული სიმძლავრისა და კონკრეტული კლასებისათვის მითითებული შესრულების კოეფიციენტიდან და სხვა კლასისთვის გამოითვლება ინტერპოლაციის ან ექსტრაპოლაციის საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირებული შემცირების კოეფიციენტით;

3²⁵) გათბობის მითითებული მოცულობა ($P_{dh}(T_i)$) – გათბობის მოცულობა, რაც შეიძლება გამოიმუშავოს თბური ტუმბოს სივრცის გამათბობელმა ან თბური ტუმბოს კომბინირებულმა გამათბობელმა, გარე ტემპერატურისთვის, გამოხატული კვტ-ში;

3²⁶) მოცულობის რეგულირება – თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის შესაძლებლობა შეცვალოს მოცულობა სულ მცირე ერთ-ერთი სითბის მოცულობითი ნაკადის შეცვლით, რომელიც საჭიროა გაგრილების ციკლის მუშაობისთვის, რომელიც აღნიშნული უნდა იყოს როგორც „ფიქსირებული“ თუკი მოცულობითი ნაკადის შეცვლა შეუძლებელია ან „ცვლადი“ თუკი მოცულობითი ნაკადის შეცვლა შესაძლებელია ან თანმიმდევრულად იცვლება ორი ან მეტი ნაბიჯით;

3²⁷) დიზაინის დატვირთვა გათბობისთვის ($P_{designh}$) – თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა (P_{rated}) დიზაინის სანიმუშო ტემპერატურაზე, სადაც დიზაინის დატვირთვა გათბობისთვის ტოლია გათბობისთვის ნაწილობრივი დატვირთვის, რომლის გარე ტემპერატურა დიზაინის სანიმუშო ტემპერატურის ტოლია, გამოხატული კვტ-ში;

3²⁸) შესრულების მითითებული კოეფიციენტი – ($COP_d(T_i)$) ან ძირითადი ენერგიის მითითებული კოეფიციენტი ($PER_d(T_i)$) – შესრულების კოეფიციენტი ან ძირითადი ენერგიის მითითებული კოეფიციენტი განსაზღვრული კლასების შეზღუდულ რაოდენობაზე;

3²⁹) ორვალენტური ტემპერატურა (T_{biv}) – მწარმოებლის მიერ გათბობისთვის განსაზღვრულ გარე სივრცის ტემპერატურა, რომელზეც გათბობის მითითებული მოცულობა ტოლია გათბობის ნაწილობრივი დატვირთვის და რომლის ქვემოთ გათბობის მითითებული სიმძლავრე უნდა შეივსოს ელექტროსარეზერვო გამათბობელი სიმძლავრით, გათბობის ნაწილობრივი დატვირთვის დასაკმაყოფილებლად, გამოხატული ცელსიუსში;

3³⁰) ოპერირების ზღვრული ტემპერატურა (TOL) – მწარმოებლის მიერ გათბობისთვის განსაზღვრული გარე სივრცის ტემპერატურა, რომლის ქვემოთ ჰაერისა და წყლის თბური ტუმბოს სივრცის გამათბობელს ან ჰაერისა და წყლის თბური ტუმბოს კომბინირებულ გამათბობელს არ ექნება შესაძლებლობა უზრუნველყოს გათბობის მოცულობის მიწოდება და გათბობის მითითებული მოცულობა ნულის ტოლია, გამოხატული ცელსიუსში;

3³¹) გათბობის წყლის ექსპლუატაციის ზღვრული ტემპერატურა ($WTOL$) – მიმწოდებლის მიერ გათბობისთვის განსაზღვრულ გამავალი წყლის ტემპერატურა, რომლის ზემოთ თბური ტუმბოს სივრცის გამათბობელი ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობელი ვერ შეძლებს უზრუნველყოს გათბობის სიმძლავრე და დეკლარირებული მოცულობის გათბობა ნულის ტოლია, გამოხატული ცელსიუსში;

3³²) ციკლურ გამეორებას შორის ინტერვალების მოცულობა გათბობისთვის ($Pcyc$) – გათბობისთვის ციკლური გამეორების გამოცდის ინტერვალზე მეტი გათბობის ინტეგრირებული მოცულობა, გამოხატული კვტ-ში;

3³³) ციკლურ გამეორებას შორის ინტერვალის ეფექტურობა (COP_{cyc} ან PER_{cyc}) – ციკლური გამეორების გამოცდის ინტერვალში შესრულების საშუალო კოეფიციენტი ან ძირითადი ენერგიის საშუალო კოეფიციენტი, რომელიც გამოიანგარიშება როგორც ინტერვალის განმავლობაში გათბობის ინტეგრირებული მოცულობა, გამოხატული კვტ.სთ-ში, გაყოფილი იმავე ინტერვალის განმავლობაში ინტეგრირებული ენერგიის მოცულობაზე, გამოხატული კვტ.სთ-ში GCV-ს თვალსაზრისით ან/და საბოლოო ენერგია გამრავლებული CC-ზე – თვალსაზრისით, გამოხატული კვტ.სთ-ში;

3³⁴) შემცირების კოეფიციენტი (Cdh) – თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის ეფექტურობის დაკარგვის ზომა, რაც გამოწვეულია ციკლური გამეორებით. თუკი Cdh არ არის დადგენილი გაზომვის საშუალებით, მაშინ ნაგულისხმევი შემცირების კოეფიციენტი არის $Cdh=0.9$;

3³⁵) აქტიური რეჟიმი – რეჟიმი, რომელიც შეესაბამება შენობის გათბობის დატვირთვის საათებს და რომლის დროსაც გააქტიურებულია გათბობის ფუნქცია. ეს მდგომარეობა შეიძლება მოიცავდეს თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის ციკლურ გამეორებას იმისთვის, რომ მოხდეს საჭირო ოთახის ტემპერატურის მიღწევა ან შენარჩუნება;

3³⁶) გამორთული რეჟიმი – მდგომარეობა, როდესაც თბური ტუმბოს სივრცის გამათბობელი ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობელი ჩართულია კვების წყაროში და არ ასრულებს რაიმე ფუნქციას, ასევე მოიცავს იმ პირობებს, რომლებიც მხოლოდ მიუთითებენ გამორთვის რეჟიმის მდგომარეობას და პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მხოლოდ ისეთ ფუნქციონირებას, რაც გათვალისწინებულია ელექტრომაგნიტური თავსებადობის უზრუნველსაყოფად;

3³⁷) თერმოსტატის გამორთული რეჟიმი – რეჟიმი, რომელიც შეესაბამება საათებს გათბობის დატვირთვის გარეშე და გააქტიურებული გათბობის ფუნქციას, როდესაც მოწყობილობის

გათბობის ფუნქცია ჩართულია, მაგრამ თბური ტუმბოს სივრცის გამათბობელი ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობელი არ მუშაობს. აქტიურ რეჟიმში ციკლური გამეორება არ ითვლება თერმოსტატის გამორთულ რეჟიმად;

3³⁸) კარტერის გათბობის საოპერაციო რეჟიმი – მდგომარეობა, როდესაც მოწყობილობაში გააქტიურებულია გამათბობელი მოწყობილობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული კომპრესორში გამაგრებული საშუალებების მოხვედრა, რათა შეიზღუდოს გამაგრებული საშუალებების კონცენტრაცია ზეთში კომპრესორის ჩართვის დროს;

3³⁹) ენერგიის მოხმარება გამორთულ რეჟიმში (P_{OFF}) – თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის ენერგიის მოხმარება გამორთულ რეჟიმში, გამოხატული კვტ-ში;

3⁴⁰) ენერგიის მოხმარება თერმოსტატის გამორთულ რეჟიმში (P_{TO}) – თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის ენერგიის მოხმარება თერმოსტატის გამორთულ რეჟიმში, გამოხატული კვტ-ში;

3⁴¹) ენერგიის მოხმარება კარტერის გათბობის რეჟიმში (P_{CK}) – თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის ენერგიის მოხმარება კარტერის გათბობის რეჟიმში, გამოხატული კვტ-ში;

3⁴²) დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბო – თბური ტუმბოს სივრცის გამათბობელი, რომელიც შექმნილია სპეციალურად დაბალ ტემპერატურაზე გამოსაყენებლად და რომელსაც არ შეუძლია გათბობის წყლის მიწოდება გამოსასვლელი ჰაერის ტემპერატურით 52 °C შესასვლელი მშრალი (სველი) ბოლქვის ტემპერატურაზე – 7 °C (– 8 °C) დიზაინის სანიმუშო პირობებში საშუალო კლიმატისთვის;

3⁴³) დაბალ ტემპერატურაზე გამოყენება – თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის იმგვარი გამოყენება, როდესაც იგი უზრუნველყოფს მის დეკლარირებულ მოცულობას გათბობისთვის შიდა სითბოს გადამყვანის გამოსასვლელ ტემპერატურაზე 35 °C;

3⁴⁴) საშუალო ტემპერატურაზე გამოყენება – თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ან თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის იმგვარი გამოყენება, როდესაც ის უზრუნველყოფს მის დეკლარირებულ მოცულობას გათბობისთვის შიდა სითბოს გადამყვანის გამოსასვლელ ტემპერატურაზე 55 °C;

3⁴⁵) დატვირთვის პროფილი – წყლის გადინების თანმიმდევრობა, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილის შესაბამისად. თითოეული კომბინირებული გამათბობელი უნდა აკმაყოფილებდეს სულ მცირე ერთი დატვირთვის პროფილს;

3⁴⁶) წყლის გადინება – სასარგებლო წყლის ნაკადის სიჩქარის, სასარგებლო წყლის ტემპერატურის, სასარგებლო ენერგიის შემცველობის და პიკური ტემპერატურის განსაზღვრული კომბინაცია, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილის შესაბამისად;

3⁴⁷) სასარგებლო წყლის ნაკადის სიჩქარე (f) – ნაკადის მინიმალური სიჩქარე, რომელიც გამოხატულია ლიტრებში თითოეულ წუთზე, რომლისთვისაც ცხელი წყალი ხელს უწყობს მითითებულ ენერგიას, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილის შესაბამისად;

3⁴⁸) სასარგებლო წყლის ტემპერატურა (T_m) – წყლის ტემპერატურა, რომელიც გამოხატულია ცელსიუსში, რომელზეც ცხელი წყალი იწყებს მითითებული ენერგიის მიღების ხელშეწყობას, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილის შესაბამისად;

3⁴⁹) სასარგებლო ენერგიის შემცველობა (Q_{tap}) – ცხელი წყლის ენერგიის შემცველობა, გამოხატული კვტ-ში, იმ ტემპერატურაზე, რომელიც სასარგებლო წყლის ტემპერატურის ტოლია

ან მეტია და წყლის ნაკადის სიჩქარეზე, რომელიც სასარგებლო წყლის ნაკადის სიჩქარის ტოლია ან მეტია, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილის შესაბამისად;

3⁵⁰) ცხელი წყლის ენერგიის შემცველობა – წყლის სპეციფიკური სითბოს მოცულობის, გამომავალ ცხელ წყალსა და შემავალ ცივ წყალს შორის სხვაობისა და მოწოდებული ცხელი წყლის საშუალო ტემპერატურული განსხვავების საერთო მასის ნამრავლი;

3⁵¹) პიკური ტემპერატურა (T_p) – წყლის მინიმალური ტემპერატურა, გამოხატული ცელსიუსში, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს წყლის გადინების დროს, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილის შესაბამისად;

3⁵²) საცნობარო ენერგია (Q_{ref}) – წყლის გადინების სასარგებლო ენერგიის შემცველობის ჯამი, გამოხატული კვტ.სთ-ში, კონკრეტული დატვირთვის პროფილისთვის, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილის შესაბამისად;

3⁵³) მაქსიმალური დატვირთვის პროფილი – დატვირთვის პროფილი ყველაზე დიდი მითითებული ენერგიით, რაც კომბინირებულ გამათბობელს შეუძლია უზრუნველყოს ამ დატვირთვის პროფილის ტემპერატურისა და დინების სიჩქარის პირობების შესრულებისას;

3⁵⁴) განსაზღვრული დატვირთვის პროფილი – დატვირთვის პროფილი, რომელიც გამოიყენება წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის განსაზღვრის დროს;

3⁵⁵) დღიური ელექტროენერგიის მოხმარება (Q_{elec}) – განსაზღვრული დატვირთვის პროფილის წყლის გათბობისთვის მოხმარებული ელექტროენერგია ზედიზედ 24 საათის განმავლობაში, გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით;

3⁵⁶) დღიური საწვავის მოხმარება (Q_{fuel}) – განსაზღვრული დატვირთვის პროფილის წყლის გათბობისთვის მოხმარებული საწვავი ზედიზედ 24 საათის განმავლობაში, გამოხატული კვტ.სთ-ში GCV-ს თვალსაზრისით და ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის, გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით;

3⁵⁷) წლიური ელექტროენერგიის მოხმარება (AEC) – კომბინირებული გამათბობლის განსაზღვრული დატვირთვის პროფილის წლიური ელექტროენერგიის მოხმარება წყლის გასათბობად და შესაბამის კლიმატურ პირობებში, გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით;

3⁵⁸) წლიური საწვავის მოხმარება (AFC) – კომბინირებული გამათბობლის განსაზღვრული დატვირთვის პროფილის წლიური წიაღისეული ან/და ბიომასის მოხმარება წყლის გასათბობად და შესაბამის კლიმატურ პირობებში, გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით;

3⁵⁹) არა მზის სითბოს ყოველწლიური წვლილი (Q_{nonsol}) – კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის ელექტროენერგიის (გამოხატული კვტ.სთ-ში ძირითადი ენერგიის თვალსაზრისით) ან/და საწვავის (გამოხატული კვტ.სთ-ში GCV-ს თვალსაზრისით) წლიური წვლილი სასარგებლო სითბოს მოცულობაში, რომელიც მხედველობაში იღებს მზის შემკრები მოწყობილობის მიერ შთანთქმული სითბოს წლიურ ოდენობას და მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის სითბოს დანაკარგს;

3⁶⁰) შემკრები მოწყობილობის დიამეტრი (A_{sol}) – (მე-5 მუხლის 1-4 ნახაზის მიზნებისთვის, გამოყენებული „შემკრები მოწყობილობის ზომა“) მაქსიმალურად პროექტირებული არე, რომლის მეშვეობით არაკონცენტრირებული მზის გამოსხივება შედის შემკრებ მოწყობილობაში, გამოხატული მ²-ში;

3⁶¹) შემკრები მოწყობილობის ეფექტურობა (η_{col}) – მზის შემკრები მოწყობილობის ეფექტურობა ტემპერატურულ სხვაობაზე მზის შემკრებ მოწყობილობასა და 40 K გარშემო არსებულ ჰაერს და გლობალურ მზის დასხივებას შორის, რაც შეადგენს 1000 ვატი/მ², გამოხატული %-ში;

3⁶²) მუდმივი დანაკარგი (S) – გათბობის ენერგია, რომელიც გამოიყოფა მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზიდან, წყლისა და გარემოს განსაზღვრულ ტემპერატურაზე, გამოხატული ლიტრებში ან მ³-ში;

3⁶³) შენახვის მოცულობა (V), – (მე-5 მუხლის 1-4 ნახაზების მიზნებისთვის გამოყენებული როგორც „ავზის მოცულობა“) მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის ნომინალური მოცულობა, გამოხატული ლიტრებში ან მ³-ში;

3⁶⁴) დამხმარე ელექტროენერგიის მოხმარება (Q_{aux}) – (მე-5 მუხლის მე-5 ნახაზის მიზნებისთვის გამოყენებული როგორც „დამხმარე ელექტროენერგია“) მხოლოდ მზის სისტემის მოწყობილობის ელექტროენერგიის წლიური მოხმარება, რაც გამომდინარეობს ტუმბოს ენერგიის მოხმარებიდან და ლოდინის რეჟიმის ენერგიის მოხმარებიდან, გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით;

3⁶⁵) ტუმბოს ენერგიის მოხმარება ($solpump$) – მხოლოდ მზის სისტემის მოწყობილობის ტუმბოს შემკრები მოწყობილობის კვანძში ელექტროენერგიის ნომინალური მოცულობის მოხმარება, გამოხატული ვატში;

3⁶⁶) ლოდინის რეჟიმში ენერგიის მოხმარება ($solstandby$) – მხოლოდ მზის სისტემის მოწყობილობის ნომინალური ელექტროენერგიის მოხმარება, როდესაც ტუმბო და თბოგენერატორი არ არის აქტიურ მდგომარეობაში, გამოხატული ვატში;

3⁶⁷) საშუალო კლიმატური პირობები, უფრო ცივი კლიმატური პირობები და უფრო თბილი კლიმატური პირობები – ტემპერატურისა და გლობალური მზის დასხივების პირობების მახასიათებელი, შესაბამისად, შემდეგი ქალაქებისთვის – სტრასბურგი, ჰელსინკი და ათენი;

3⁶⁸) მოდელის იდენტიფიკატორი – კოდი, რომელიც, ჩვეულებრივ, შედგება ასოებისა და ციფრებისგან და განასხვავებს სივრცის გამათბობლის, კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის, მზის პანელის, სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტის ან კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტის სპეციფიკურ მოდელს სხვა, იმავე სავაჭრო ნიშნის მქონე მოდელისგან ან იმავე მიმწოდებლის ან დილერის სახელწოდებისგან;

3⁶⁹) საჩვენებელი მოწყობილობა – ნებისმიერი ეკრანი, მათ შორის სენსორული ეკრანი ან სხვა ვიზუალური ტექნოლოგია, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლისთვის ინტერნეტკონტენტის საჩვენებლად;

3⁷⁰) ჩასმული ეკრანი – ვიზუალური ინტერფეისი, რა შემთხვევაშიც გამოსახულებაზე ან მონაცემებზე წვდომა შესაძლებელია განხორციელდეს მაუსზე ხელის დაჭერით, მაუსის მოძრაობით ან სხვა სურათის ან მონაცემის სენსორულ ეკრანზე გაფართოებით;

3⁷¹) სენსორული ეკრანი – ეკრანი, რომელიც რეაგირებს შეხებაზე, როგორცაა ტაბლეტი, პლანშეტი ან სმარტფონი;

3⁷²) ალტერნატიული ტექსტი – გრაფიკული გამოსახულების ალტერნატიული ტექსტი, რომლის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება არაგრაფიკული ფორმით და გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გრაფიკული გამოსახულების გახსნა საჩვენებელ მოწყობილობაზე

შეუძლებელია. ის ასევე ნიშნავს ხელმისაწვდომობისთვის გამოყენებულ დამხმარე საშუალებას, მაგალითად როგორც არის ხმის სინთეზის პროგრამები;

2. ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მოცემულია „ენერგოეტიკტირების შესახებ“ საქართველოს კანონში.

მუხლი 3. მიწოდების ვალდებულებები

1. მიწოდებელი, რომელიც ბაზარზე განათავსებს ან/და უზრუნველყოფს სივრცის გამათბობლების ექსპლუატაციას, მათ შორის იმ სივრცის გამათბობლების ექსპლუატაციას ან/და ბაზარზე განათავსებას, რომლებიც ინტეგრირებულია სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტებში, ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

ა) თითოეული სივრცის გამათბობელი, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი პუნქტით დადგენილ სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასს, მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ბეჭდურ ეტიკეტთან ერთად. თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლების ბეჭდური ეტიკეტი მიწოდებულია სულ მცირე თბოგენერატორის შეფუთვაში. თითოეული სივრცის გამათბობელი, რომელიც განკუთვნილია სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტში გამოსაყენებლად, მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ მეორე ეტიკეტთან ერთად;

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი მიწოდებულია თითოეული სივრცის გამათბობლისთვის. თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლისთვის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი მიწოდებულია სულ მცირე თბოგენერატორის შეფუთვაში. თითოეული სივრცის გამათბობელი, რომელიც განკუთვნილია სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტში გამოსაყენებლად, მიწოდებულია მე-5 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტის შესახებ მეორე საინფორმაციო ცხრილთან ერთად;

გ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია, ხელმისაწვდომია სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში;

დ) სივრცის გამათბობლის კონკრეტული მოდელის ნებისმიერი სახის რეკლამაში, მიეთითოს ინფორმაცია ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ საშუალო კლიმატურ პირობებში, თუ რეკლამა შეიცავს ენერგიასთან ან ფასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

ე) სივრცის გამათბობლის კონკრეტულ მოდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური სარეკლამო მასალა, რომელიც ეხება მას და აღწერს მის კონკრეტულ ტექნიკურ პარამეტრებს, უნდა მოიცავდეს ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ მითითებას საშუალო კლიმატურ პირობებში;

ვ) ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი პუნქტით დადგენილ სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასთან შესაბამისი თითოეული სივრცის გამათბობელი

დილერისთვის მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ელექტრონულ ეტიკეტთან ერთად; ზ) თითოეული სივრცის გამათბობლის მოდელი დილერისთვის მიწოდებულია ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ელექტრონული ფორმატის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან (ფირფიტა) ერთად. თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის მოდელის შემთხვევაში, ელექტრონული ფორმატის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) მიწოდებულია სულ მცირე თბოგენერატორისთვის;

თ) თითოეული სივრცის გამათბობელი, რომელიც შეესაბამება I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასს, მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ბეჭდურ ეტიკეტთან ერთად. თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლების ნაბეჭდი ეტიკეტი მიწოდებულია სულ მცირე თბოგენერატორის შეფუთვაში;

ი) თითოეული სივრცის გამათბობლის მოდელი, რომელიც შეესაბამება I დანართის პირველი პუნქტით დადგენილ სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასს, დილერისთვის მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ელექტრონულ ეტიკეტთან ერთად.

2. მიმწოდებელი, რომელიც ბაზარზე განათავსებს ან/და უზრუნველყოფს კომბინირებული გამათბობლების ექსპლუატაციას, მათ შორის კომბინირებული გამათბობლების ბაზარზე განათავსებას ან/და ექსპლუატაციას, რომლებიც ინტეგრირებულია კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტებში, ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

ა) თითოეული კომბინირებული გამათბობელი, რომელიც შეესაბამება I დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილ სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასებს, მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ბეჭდურ ეტიკეტთან ერთად. თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლების ბეჭდური ეტიკეტი მიწოდებულია სულ მცირე თბოგენერატორის შეფუთვაში. თითოეული კომბინირებული გამათბობელი, რომელიც განკუთვნილია კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტში გამოსაყენებლად, მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ მეორე ეტიკეტთან ერთად;

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი მიწოდებულია თითოეული კომბინირებული გამათბობლისთვის. თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის, პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი მიწოდებულია სულ მცირე თბოგენერატორის შეფუთვაში. თითოეული კომბინირებული გამათბობელი, რომელიც განკუთვნილია კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტში გამოსაყენებლად, მიწოდებულია მე-5 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტის შესახებ მეორე საინფორმაციო ცხრილთან ერთად;

გ) ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია, ხელმისაწვდომია სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში;

დ) კომბინირებული გამათბობლის კონკრეტული მოდელის ნებისმიერი სახის რეკლამაში, მიეთითოს ინფორმაცია ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ საშუალო კლიმატურ პირობებში, თუკი რეკლამა შეიცავს ენერგიასთან ან ფასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

ე) კომბინირებული გამათბობლის კონკრეტულ მოდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური სარეკლამო მასალა, რომელიც ეხება მას და აღწერს მის კონკრეტულ ტექნიკურ პარამეტრებს, მოიცავს ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ მითითებას საშუალო კლიმატურ პირობებში;

ვ) თითოეული კომბინირებული გამათბობლის მოდელი, რომელიც შეესაბამება I დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილ სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასს, დილერისთვის მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ელექტრონულ ეტიკეტთან ერთად;

ზ) თითოეული კომბინირებული გამათბობლის მოდელი დილერისთვის მიწოდებულია მე-5 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ ელექტრონული ფორმატის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან ერთად. თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის მოდელის შემთხვევაში, ელექტრონული ფორმატის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) მიწოდებულია სულ მცირე თბოგენერატორისთვის;

თ) თითოეული კომბინირებული გამათბობელი, რომელიც შეესაბამება I დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასებს, მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ბეჭდურ ეტიკეტთან ერთად. თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლების ბეჭდური ეტიკეტი მიწოდებულია სულ მცირე თბოგენერატორის შეფუთვაში;

ი) თითოეული კომბინირებული გამათბობლის მოდელი, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილ სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასებს, დილერისთვის მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ელექტრონულ ეტიკეტთან ერთად.

3. მიმწოდებელი, რომელიც ბაზარზე განათავსებს ან/და უზრუნველყოფს ტემპერატურის მარეგულირებლების ექსპლუატაციას, ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

ა) პროდუქტი მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან (ფირფიტა) ერთად;

ბ) ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია, ხელმისაწვდომია სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში;

გ) თითოეული ტემპერატურის მარეგულირებლის მოდელი დილერისთვის მიწოდებულია მე-5 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ ელექტრონული ფორმატის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან (ფირფიტა) ერთად.

4. მიმწოდებელი, რომელიც ბაზარზე განათავსებს ან/და უზრუნველყოფს მზის პანელების ექსპლუატაციას, უნდა უზრუნველყონ შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

ა) პროდუქტი მიწოდებულია მე-5 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან (ფირფიტა) ერთად;

ბ) ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია, ხელმისაწვდომია სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში;

გ) თითოეული მზის პანელის მოდელი დილერისთვის მიწოდებულია მე-5 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებულ ელექტრონული ფორმატის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან (ფირფიტა) ერთად.

5. მიმწოდებელი, რომელიც ბაზარზე განათავსებს ან/და უზრუნველყოფს სივრცის გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების კომპლექტების ექსპლუატაციას, უნდა უზრუნველყოს შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

ა) სივრცის გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეულ კომპლექტი, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი პუნქტით დადგენილ სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობს კლასს, მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ბეჭდურ ეტიკეტთან ერთად;

ბ) სივრცის გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეული კომპლექტი მიწოდებულია მე-5 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან ერთად;

გ) ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია, ხელმისაწვდომია სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში;

დ) სივრცის გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეული კომპლექტის კონკრეტული მოდელის ნებისმიერი სახის რეკლამაში, მიეთითოს ინფორმაცია ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ საშუალო კლიმატურ პირობებში, თუკი რეკლამა შეიცავს ენერგიასთან ან ფასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

ე) სივრცის გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეული კომპლექტის კონკრეტულ მოდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური სარეკლამო მასალა, რომელიც ეხება მას და აღწერს მის კონკრეტულ ტექნიკურ პარამეტრებს, მოიცავს ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ მითითებას საშუალო კლიმატურ პირობებში;

ვ) სივრცის გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეული კომპლექტის მოდელი, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი პუნქტით დადგენილ სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობს კლასს, დილერისთვის მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ელექტრონულ ეტიკეტთან ერთად;

ზ) სივრცის გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეული კომპლექტის მოდელი დილერისთვის მიწოდებულია მე-5 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ ელექტრონული ფორმატის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან ერთად.

6. მიმწოდებელმა, რომელიც ბაზარზე განათავსებს ან/და უზრუნველყოფს კომბინირებული გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების კომპლექტების ექსპლუატაციას, უნდა უზრუნველყოს შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

ა) კომბინირებული გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეული კომპლექტი, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილ სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასს, მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ბეჭდურ ეტიკეტთან ერთად;

ბ) კომბინირებული გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეული კომპლექტი მიწოდებულია მე-5 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან ერთად;

გ) ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია, ხელმისაწვდომია სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში;

დ) კომბინირებული გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეული კომპლექტის კონკრეტული მოდელის ნებისმიერი სახის რეკლამაში, მიეთითოს ინფორმაცია ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ საშუალო კლიმატურ პირობებში, თუკი რეკლამა შეიცავს ენერგიასთან ან ფასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

ე) კომბინირებული გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეული კომპლექტის კონკრეტულ მოდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური სარეკლამო მასალა, რომელიც ეხება მას და აღწერს მის კონკრეტულ ტექნიკურ პარამეტრებს, მოიცავს ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ მითითებას საშუალო კლიმატურ პირობებში;

ვ) კომბინირებული გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეული კომპლექტის მოდელი, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილ სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასს, დილერისთვის მიწოდებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატისა და ინფორმაციის შემცველ ელექტრონულ ეტიკეტთან ერთად;

ზ) კომბინირებული გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების თითოეული კომპლექტის მოდელი დილერისთვის მიწოდებულია მე-5 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული ფორმატის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან ერთად.

მუხლი 4. დილერის ვალდებულებები

1. სივრცის გამათბობლების დილერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ:

ა) თითოეულ სივრცის გამათბობელს, რომელიც წარმოდგენილია გაყიდვის პუნქტში, თან ახლდეს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ეტიკეტი ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია II დანართის პირველი პუნქტით, მოწყობილობის გარე წინა ნაწილში, ისე რომ ნათლად ჩანდეს;

ბ) დისტანციური გაყიდვის, გაქირავების ან განვადებით გაყიდვის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ სივრცის გამათბობელი შეთავაზებულ იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შეთავაზება გაკეთებულია ინტერნეტის მეშვეობით, გამოიყენება V დანართის დებულებები;

გ) სივრცის გამათბობლის კონკრეტული მოდელის ნებისმიერი სახის რეკლამა მოიცავს მითითებას ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ საშუალო კლიმატურ პირობებში, თუკი რეკლამა შეიცავს ენერგიასთან ან ფასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

დ) სივრცის გამათბობლის კონკრეტულ მოდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური სარეკლამო მასალა, რომელიც ეხება მას და აღწერს მის კონკრეტულ ტექნიკურ პარამეტრებს, მოიცავს ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ მითითებას, საშუალო კლიმატურ პირობებში.

2. კომბინირებული გამათბობლების დილერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ:

ა) თითოეულ კომბინირებულ გამათბობელს, რომელიც წარმოდგენილია გაყიდვის პუნქტში, თან ახლდეს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ეტიკეტი მე-3 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, როგორც ეს დადგენილია II დანართის მე-2 პუნქტით, მოწყობილობის გარე წინა ნაწილში, ისე რომ ნათლად ჩანდეს;

ბ) დისტანციური გაყიდვის, გაქირავების ან განვადებით გაყიდვის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ კომბინირებულ გამათბობელი შეთავაზებულ იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შეთავაზება გაკეთებულია ინტერნეტის მეშვეობით, გამოიყენება V დანართის დებულებები;

გ) კომბინირებული გამათბობლის კონკრეტული მოდელის ნებისმიერი სახის რეკლამა მოიცავს მითითებას ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ საშუალო კლიმატურ პირობებში, თუკი რეკლამა შეიცავს ენერგიასთან ან ფასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

დ) კომბინირებული გამათბობლის კონკრეტულ მოდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური სარეკლამო მასალა, რომელიც ეხება მას და აღწერს მის კონკრეტულ ტექნიკურ პარამეტრებს, მოიცავს ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ მითითებას, საშუალო კლიმატურ პირობებში.

3. სივრცის გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების კომპლექტების დილერი ვალდებულია მესამე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ეტიკეტისა და პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილის (ფირფიტა) საფუძველზე უზრუნველყოს, რომ:

ა) კომპლექტი ბაზარზე განთავსებული უნდა იქნეს საშუალო, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის და სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ ინფორმაციის შემცველ ეტიკეტთან

ერთად ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ასევე კომპლექტის ძირითადი მახასიათებლების მიხედვით შევსებულ პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან (ფირფიტა) ერთად, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად;

ბ) დისტანციური გაყიდვის, გაქირავების ან განვადებით გაყიდვის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ სივრცის გამათბობლები, ტემპერატურის მარეგულირებლები და მზის პანელების კომპლექტები შეთავაზებულ იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შეთავაზება გაკეთებულია ინტერნეტის მეშვეობით, გამოიყენება V დანართის დებულებები;

გ) სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის კონკრეტული მოდელის ნებისმიერი სახის რეკლამა მოიცავს მითითებას ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ საშუალო კლიმატურ პირობებში, თუკი რეკლამა შეიცავს ენერგიასთან ან ფასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

დ) სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის კონკრეტულ მოდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური სარეკლამო მასალა, რომელიც ეხება მას და აღწერს მის კონკრეტულ ტექნიკურ პარამეტრებს, მოიცავს ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ მითითებას, საშუალო კლიმატურ პირობებში.

4. კომბინირებული გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების კომპლექტების დილერი ვალდებულია მე-3 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ეტიკეტისა და პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილის (ფირფიტა) საფუძველზე უზრუნველყოს, რომ:

ა) კომპლექტი ბაზარზე განთავსებული უნდა იქნეს საშუალო, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის, წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის, სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ ინფორმაციის შემცველ ეტიკეტთან ერთად ამ ტექნიკური რეგლამენტის II დანართის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასევე კომპლექტის ძირითადი მახასიათებლების მიხედვით შევსებულ პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილთან (ფირფიტა) ერთად, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად;

ბ) დისტანციური გაყიდვის, გაქირავების ან განვადებით გაყიდვის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ კომბინირებული გამათბობლები, ტემპერატურის მარეგულირებლები და მზის პანელების კომპლექტები შეთავაზებულ იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მიწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შეთავაზება გაკეთებულია ინტერნეტის მეშვეობით, გამოიყენება V დანართის დებულებები;

გ) კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის კონკრეტული მოდელის ნებისმიერი სახის რეკლამა მოიცავს მითითებას ამ მოდელის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ საშუალო კლიმატურ პირობებში, თუკი რეკლამა შეიცავს ენერგიასთან ან ფასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

დ) კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის კონკრეტულ მოდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური სარეკლამო მასალა, რომელიც ეხება მას და აღწერს მის კონკრეტულ ტექნიკურ პარამეტრებს, მოიცავს ამ

მოდელის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ მითითებას, საშუალო კლიმატურ პირობებში.

მუხლი 5. პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი

1. სივრცის გამათბობლების პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილში, პროდუქტის თანმხლებ ბროშურასა თუ სხვა საინფორმაციო ლიტერატურაში ინფორმაცია მოცემული და ასახული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:
 - ა) მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;
 - ბ) მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი;
 - გ) მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი, ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი პუნქტის შესაბამისად;
 - დ) ნომინალური სითბოს მოცულობა, მათ შორის ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა გამოხატული კვტ-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე (თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლისთვის საშუალო კლიმატურ პირობებში);
 - ე) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად (თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლისთვის საშუალო კლიმატურ პირობებში);
 - ვ) წლიური ენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად (თბურის ტუმბოს სივრცის გამათბობლისთვის საშუალო კლიმატურ პირობებში);
 - ზ) ხმის სიმძლავრის დონე L_{WA} , შიგნით, გამოხატული დეციბელში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე (თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლისთვის, არსებობის შემთხვევაში);
 - თ) ნებისმიერი სპეციფიკური სიფრთხილის ზომის შესახებ მითითება, რაც აუცილებელია სივრცის გამათბობლის აწყობის, დამონტაჟების ან ექსპლუატაციის დროს;

დამატებით კოგენერაციის სივრცის გამათბობლების შემთხვევაში:

 - ი) ელექტროეფექტურობა გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

დამატებით თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლებისთვის:

 - კ) ნომინალური სითბოს მოცულობა, მათ შორის ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;
 - ლ) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-4 პუნქტის შესაბამისად;
 - მ) წლიური ენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, უფრო ცივ და

უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

ნ) ხმის სიმძლავრის დონე L_{WA} , გარეთ, გამოხატული დეციბელში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე.

2. პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) შეიძლება მოიცავდეს ერთი და იმავე მიმწოდებლის სივრცის გამათბობლის რამდენიმე მოდელს;
3. ინფორმაცია, რომელსაც მოიცავს პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი, შესაძლოა მოცემული იყოს ეტიკეტის ფერადი ან შავთეთრი ასლის ფორმით. ასეთ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც ეტიკეტზე არ არის ნაჩვენები, ასევე უნდა იქნეს წარმოდგენილი.
4. კომბინირებული გამათბობლების პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილში, პროდუქტის თანმხლებ ბროშურასა თუ სხვა საინფორმაციო ლიტერატურაში ინფორმაცია მოცემული და ასახული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;

ბ) მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი;

გ) სივრცის გათბობისთვის, საშუალო ტემპერატურის გამოყენება (და თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის დაბალი ტემპერატურის გამოყენება, ასეთის არსებობის შემთხვევაში); წყლის გათბობისთვის, დეკლარირებული დატვირთვის პროფილი, გამოხატული შესაბამისი ასოთი და ტიპური გამოყენებით, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილის შესაბამისად;

დ) მოდელის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი, ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად;

ე) ნომინალური სითბოს მოცულობა, მათ შორის ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა გამოხატული კვტ-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე (თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის საშუალო კლიმატურ პირობებში);

ვ) სივრცის გათბობისთვის, წლიური ენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად (თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის საშუალო კლიმატურ პირობებში); წყლის გათბობისთვის, წლიური ენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და წლიური საწვავის მოხმარება გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად (თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის საშუალო კლიმატურ პირობებში);

ზ) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად (თბური ტუმბოს

კომბინირებული გამათბობლისთვის საშუალო კლიმატურ პირობებში); წყლის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად (თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის საშუალო კლიმატურ პირობებში);

თ) ხმის სიმძლავრის დონე L_{WA} , შიგნით, გამოხატული დეციბელში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე (თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის, არსებობის შემთხვევაში);

ი) მითითება, რომ კომბინირებულ გამათბობელს შეუძლია მუშაობა მხოლოდ არაპიკურ საათებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) ნებისმიერი სპეციფიკური სიფრთხილის ზომის შესახებ მითითება, რაც აუცილებელია კომბინირებული გამათბობლის აწყობის, დამონტაჟების ან ექსპლუატაციის დროს;

დამატებით თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლებისთვის:

ლ) ნომინალური სითბოს მოცულობა, მათ შორის ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

მ) სივრცის გათბობისთვის, წლიური ენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-4 პუნქტის შესაბამისად; წყლის გათბობისთვის, წლიური ენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და წლიური საწვავის მოხმარება გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

ნ) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე და გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-4 პუნქტის შესაბამისად; წყლის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

ო) ხმის სიმძლავრის დონე L_{WA} , გარეთ, გამოხატული დეციბელში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე.

5. პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი შეიძლება მოიცავდეს ერთი და იმავე მიმწოდებლის კომბინირებული გამათბობლის რამდენიმე მოდელს.
6. ინფორმაცია, რომელსაც მოიცავს პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი, შესაძლოა მოცემული იყოს ეტიკეტის ფერადი ან შავთეთრი ასლის ფორმით. ასეთ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც ეტიკეტზე არ არის ნაჩვენები, ასევე უნდა იქნეს წარმოდგენილი.
7. ტემპერატურის მარეგულირებლის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილში, პროდუქტის თანმხლებ ბროშურასა თუ სხვა საინფორმაციო ლიტერატურაში ინფორმაცია მოცემული და ასახული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ა) მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;
- ბ) მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი;
- გ) ტემპერატურის მარეგულირებლის კლასი;
- დ) ტემპერატურის მარეგულირებლის წვლილი სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობაში, გამოხატული %-ში, დამრგვალებული ერთ მეათედამდე.
8. პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი შეიძლება მოიცავდეს ერთი და იმავე მიმწოდებლის ტემპერატურის მარეგულირებლის რამდენიმე მოდელს.
9. მზის პანელების პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილში, პროდუქტის თანმხლებ ბროშურასა თუ სხვა საინფორმაციო ლიტერატურაში ინფორმაცია მოცემული და ასახული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით (ტუმბოსთვის შემკრები მოწყობილობის კვანძში, საჭიროების შემთხვევაში):
- ა) მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;
- ბ) მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი;
- გ) შემკრები მოწყობილობის დიამეტრი, გამოხატული მ²-ში, მეასედამდე;
- დ) შემკრები მოწყობილობის ეფექტურობა, გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;
- ე) მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის ენერგოეფექტურობა, ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის მე-3 პუნქტის შესაბამისად;
- ვ) მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის მუდმივი დანაკარგი, გამოხატული ვატში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;
- ზ) მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის შენახვის მოცულობა გამოხატული ლიტრებში და მ³-ში;
- თ) წლიური არა მზის სითბოს წვლილი Q_{nonsol} გამოხატული კვტ.სთ-ში ელექტროენერგიისთვის ძირითადი ენერგიის თვალსაზრისით, ან/და გამოხატული კვტ.სთ-ში საწვავისთვის GCV-ს თვალსაზრისით, დატვირთვის პროფილისთვის M, L, XL და XXL საშუალო კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;
- ი) ტუმბოს ენერგიის მოხმარება, გამოხატული ვატში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;
- კ) ლოდინის რეჟიმში ენერგიის მოხმარება, გამოხატული ვატში, დამრგვალებული მეასედამდე;
- ლ) წლიური დამხმარე ელექტროენერგიის მოხმარება Q_{aux} გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე.
10. პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი შეიძლება მოიცავდეს ერთი და იმავე მიმწოდებლის მზის პანელის რამდენიმე მოდელს.
11. სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის შეფასების მიზნით პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილში, მითითებული უნდა იყოს პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 ნახაზებში მოცემული ელემენტები. ის ასევე უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- ა) – I: სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის მაჩვენებელი, პრეფერენციული სივრცის გამათბობლისთვის, გამოხატული %-ში;

- ბ) – II: კომპლექტის პრეფერენციული და დამატებითი სივრცის გამათბობლების სითბოს გამომუშავების წონის ფაქტორი, ტექნიკური რეგლამენტის მე-5 და მე-6 ცხრილების შესაბამისად;
- გ) – III: მათემატიკური გამოსახულების მნიშვნელობა: $294 / (11 \cdot Prated)$, სადაც $Prated$ უკავშირდება პრეფერენციულ სივრცის გამათბობელს;
- დ) – IV: მათემატიკური გამოსახულების მნიშვნელობა: $115 / (11 \cdot Prated)$, სადაც $Prated$ უკავშირდება პრეფერენციულ სივრცის გამათბობელს; დამატებით, პრეფერენციული თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლებისთვის;
- ე) – V: საშუალო და უფრო ცივ კლიმატურ პირობებში სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობას შორის სხვაობის მნიშვნელობა, გამოხატული %-ში;
- ვ) – VI: უფრო თბილ და საშუალო კლიმატურ პირობებში სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობას შორის სხვაობის მნიშვნელობა, გამოხატული %-ში.
12. კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- ა) კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის შეფასების მიზნით ნახაზ 1-სა და ნახაზ 3-ზე მოცემული ელემენტები, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
- ა.ა) – I: სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის მაჩვენებელი, პრეფერენციული კომბინირებული გამათბობლისთვის, გამოხატული %-ში;
- ა.ბ) – II: კომპლექტის პრეფერენციული და დამატებითი ელექტროგამათბობლების სითბოს გამომუშავების წონის ფაქტორი, ტექნიკური რეგლამენტის მე-5 და მე-6 ცხრილების შესაბამისად;
- ა.გ) – III: მათემატიკური გამოსახულების მნიშვნელობა: $294 / (11 \cdot Prated)$, სადაც $Prated$ უკავშირდება პრეფერენციულ კომბინირებულ გამათბობელს;
- ა.დ) – IV: მათემატიკური გამოსახულების მნიშვნელობა: $115 / (11 \cdot Prated)$, სადაც $Prated$ უკავშირდება პრეფერენციულ კომბინირებულ გამათბობელს; დამატებით, პრეფერენციული თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლებისთვის;
- ა.ე) – V: საშუალო და უფრო ცივ კლიმატურ პირობებში სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობას შორის სხვაობის მნიშვნელობა, გამოხატული %-ში;
- ა.ვ) – VI: უფრო თბილ და საშუალო კლიმატურ პირობებში სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობას შორის სხვაობის მნიშვნელობა, გამოხატული %-ში.
- ბ) კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის შეფასების მიზნით, მე-5 ნახაზზე მოცემული ელემენტები, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
- ბ.ა) – I: კომბინირებული გამათბობლების წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის მაჩვენებელი, გამოხატული %-ში;
- ბ.ბ) – II. მათემატიკური გამოსახულების მნიშვნელობა $(220 \cdot Q_{ref}) / Q_{nonsol}$, სადაც Q_{ref} აღებულია ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილიდან და Q_{nonsol} მზის პანელის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილიდან (ფირფიტა)

კომბინირებული გამათბობლის დეკლარირებული დატვირთვის პროფილისთვის M, L, XL ან XXL.

ბ.გ) – III. მათემატიკური გამოსახულების მნიშვნელობა $(Q_{aux} * 2,5) / (220 * Q_{ref})$, გამოხატული %-ში, სადაც Q_{aux} აღებულია მზის პანელის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილიდან და Q_{ref} ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილიდან დეკლარირებული დატვირთვის პროფილისთვის M, L, XL ან XXL.

ცხრილი 5

პრეფერენციული ბოილერის სივრცის გამათბობლის ან ბოილერის კომბინირებული გამათბობლის და დამატებითი გამათბობლის წონა ამ დანართის პირველი ნახაზის მიზნებისთვის

$P_{sup}/(P_{rated} + P_{sup})$	II, კომპლექტი ცხელი წყლის შემნახველი ავზის გარეშე	II, კომპლექტი ცხელი წყლის შემნახველი ავზით
0	0	0
0.1	0.30	0.37
0.2	0.55	0.70
0.3	0.75	0.85
0.4	0.85	0.94
0.5	0.95	0.98
0.6	0.98	1.00
$\geq 0,7$	1.00	1.00

ცხრილი 6

პრეფერენციული კოგენერაციის სივრცის გამათბობლის, თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის, თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის ან დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოს და დამატებითი გამათბობლის წონა ამ დანართის მე-2, მე-3 და მე-4 ნახაზების მიზნებისათვის

$P_{rated}/(P_{rated} + P_{sup})$	II, კომპლექტი ცხელი წყლის შემნახველი ავზის გარეშე	II, კომპლექტი ცხელი წყლის შემნახველი ავზით
0	1.0	1.0
0.1	0.70	0.63
0.2	0.45	0.30
0.3	0.25	0.15
0.4	0.15	0.06
0.5	0.05	0.02
0.6	0.02	0
$\geq 0,7$	0	0

გ) ამ მუხლის მე-5 და მე-6 ცხრილის მიზნებისთვის, შუალედური მნიშვნელობები გამოითვლება ორ მომიჯნავე მნიშვნელობას შორის ხაზოვანი ინტერპოლაციით, ხოლო *Prated* მიუთითებს ძირითად ელექტროგამათბობელს ან კომბინირებულ გამათბობელს.

ნახაზი 1

ნახაზი 1 მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც პრეფერენციული ბოილერის სივრცის გამათბობლისთვის და პრეფერენციული ბოილერის კომბინირებული გამათბობლისთვის, უნდა შეიცავდეს სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის და კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) და შეიცავს შეთავაზებული კომპლექტის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობას.

Seasonal space heating energy efficiency of boiler 1 I %

Temperature control

From fiche of temperature control

Class I = 1 %, Class II = 2 %, Class III = 1,5 %, Class IV = 2 %, Class V = 3 %, Class VI = 4 %, Class VII = 3,5 %, Class VIII = 5 %

2 + [] %

Supplementary boiler

From fiche of boiler

Seasonal space heating energy efficiency (in %)

$([] - 'I') \times 0,1 = \pm \text{3} \text{ } [] \%$

Solar contribution

From fiche of solar device

Collector size
(in m²)

Tank volume
(in m³)

Collector efficiency
(in %)

Tank rating
A* = 0,95, A = 0,91,
B = 0,86, C = 0,83,
D-G = 0,81

$('III' \times [] + 'IV' \times []) \times 0,9 \times ([] / 100) \times [] = + \text{4} \text{ } [] \%$

Supplementary heat pump

From fiche of heat pump

Seasonal space heating energy efficiency (in %)

$([] - 'I') \times 'II' = + \text{5} \text{ } [] \%$

Solar contribution AND Supplementary heat pump


Select smaller value

$0,5 \times \text{4} \text{ } []$ OR $0,5 \times \text{5} \text{ } [] = - \text{6} \text{ } [] \%$

Seasonal space heating energy efficiency of package

7 [] %

Seasonal space heating energy efficiency class of package



Boiler and supplementary heat pump installed with low temperature heat emitters at 35 °C?

From fiche of heat pump

7 [] + $(50 \times 'II') = \text{ } [] \%$

The energy efficiency of the package of products provided for in this fiche may not correspond to its actual energy efficiency once installed in a building, as the efficiency is influenced by further factors such as heat loss in the distribution system and the dimensioning of the products in relation to building size and characteristics.

ნახაზი 2

ნახაზი 2 მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც პრეფერენციული კოგენერაციის სივრცის გამათბობლისთვის, უნდა შეიცავდეს სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) და შეიცავს შეთავაზებული კომპლექტის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობას.

Seasonal space heating energy efficiency of cogeneration space heater		① I %
Temperature control From fiche of temperature control	Class I = 1 %, Class II = 2 %, Class III = 1,5 %, Class IV = 2 %, Class V = 3 %, Class VI = 4 %, Class VII = 3,5 %, Class VIII = 5 %	+ ② %
Supplementary boiler From fiche of boiler	Seasonal space heating energy efficiency (in %) (- 'I') × 'II' =	- ③ %
Solar contribution From fiche of solar device	Collector size (in m²) Tank volume (in m³) Collector efficiency (in %) Tank rating A* = 0,95, A = 0,91, B = 0,86, C = 0,83, D-G = 0,81	④ %
$('III' \times \text{Collector size} + 'IV' \times \text{Tank volume}) \times 0,7 \times (\text{Collector efficiency} / 100) \times \text{Tank rating} =$		+ ④ %
Seasonal space heating energy efficiency of package		⑤ %
Seasonal space heating energy efficiency class of package ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ G F E D C B A A⁺ A⁺⁺ A⁺⁺⁺ < 30 % ≥ 30 % ≥ 34 % ≥ 36 % ≥ 75 % ≥ 82 % ≥ 90 % ≥ 98 % ≥ 125 % ≥ 150 %		

The energy efficiency of the package of products provided for in this fiche may not correspond to its actual energy efficiency once installed in a building, as the efficiency is influenced by further factors such as heat loss in the distribution system and the dimensioning of the products in relation to building size and characteristics.

ნახაზი 3

ნახაზი 3 მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც პრეფერენციული თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლისთვის და პრეფერენციული თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის უნდა შეიცავდეს სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის და კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) და შეიცავს შეთავაზებული კომპლექტის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობას.

Seasonal space heating energy efficiency of heat pump 1 %

Temperature control 2

From fiche of temperature control + %

Class I = 1 %, Class II = 2 %, Class III = 1,5 %, Class IV = 2 %, Class V = 3 %, Class VI = 4 %, Class VII = 3,5 %, Class VIII = 5 %

Supplementary boiler 3

From fiche of boiler Seasonal space heating energy efficiency (in %)

$(\text{ } - 'I') \times 'II' = - \text{ } \%$

Solar contribution

From fiche of solar device

Collector size (in m²) Tank volume (in m³) Collector efficiency (in %) Tank rating
A* = 0,95, A = 0,91,
B = 0,86, C = 0,83,
D-G = 0,81

$('III' \times \text{ } + 'IV' \times \text{ }) \times 0,45 \times (\text{ } / 100) \times \text{ } = + \text{ } \%$

Seasonal space heating energy efficiency of package under average climate 5 %

Seasonal space heating energy efficiency class of package under average climate

☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐

G F E D C B A A⁺ A⁺⁺ A⁺⁺⁺

< 30 % ≥ 30 % ≥ 34 % ≥ 36 % ≥ 75 % ≥ 82 % ≥ 90 % ≥ 98 % ≥ 125 % ≥ 150 %

Seasonal space heating energy efficiency under colder and warmer climate conditions

Colder: 5 - 'V' = %

Warmer: 5 + 'VI' = %

The energy efficiency of the package of products provided for in this fiche may not correspond to its actual energy efficiency once installed in a building, as the efficiency is influenced by further factors such as heat loss in the distribution system and the dimensioning of the products in relation to building size and characteristics.

ნახაზი 4

ნახაზი 4 მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც პრეფერენციული დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოსთვის უნდა შეიცავდეს სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) და შეიცავს შეთავაზებული კომპლექტის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობას.

Seasonal space heating energy efficiency of low temperature heat pump 1 I %

Temperature control 2

From fiche of temperature control Class I = 1 %, Class II = 2 %, Class III = 1,5 %, Class IV = 2 %, Class V = 3 %, Class VI = 4 %, Class VII = 3,5 %, Class VIII = 5 % + %

Supplementary boiler 3

From fiche of boiler Seasonal space heating energy efficiency (in %)

(- 'I') × 'II' = - %

Solar contribution

From fiche of solar device

Collector size
(in m²)

Tank volume
(in m³)

Collector efficiency
(in %)

Tank rating
A* = 0,95, A = 0,91,
B = 0,86, C = 0,83,
D-G = 0,81

('III' × + 'IV' ×) × 0,45 × (/100) × = + %

Seasonal space heating energy efficiency of package under average climate 5 %

Seasonal space heating energy efficiency class of package under average climate

□□□□□□□□□□

GFEDCBAA⁺A⁺⁺A⁺⁺⁺

< 55 %≥ 55 %≥ 59 %≥ 61 %≥ 100 %≥ 107 %≥ 115 %≥ 123 %≥ 150 %≥ 175 %

Seasonal space heating energy efficiency under colder and warmer climate conditions

Colder: 3 - 'V' = %

Warmer: 3 + 'VI' = %

The energy efficiency of the package of products provided for in this fiche may not correspond to its actual energy efficiency once installed in a building, as the efficiency is influenced by further factors such as heat loss in the distribution system and the dimensioning of the products in relation to building size and characteristics.

ნახაზი 5

ნახაზი 5 მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც პრეფერენციული ბოილერის კომბინირებული გამათბობლისა და პრეფერენციული თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის უნდა შეიცავდეს კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის პროდუქტის შესახებ საინფორმაციო ცხრილი (ფირფიტა) და შეიცავს შეთავაზებული კომპლექტის წყლის გათბობის ენერგოეფექტურობას.

Water heating energy efficiency of combination heater ①
 %

Declared load profile:

Solar contribution
 From fiche of solar device

Auxiliary electricity

$(1,1 \times 'I' - 10\%) \times 'II' - 'III' - 'I' =$ ②
 + %

Water heating energy efficiency of package under average climate ③
 %

Water heating energy efficiency class of package under average climate

	G	F	E	D	C	B	A	A ⁺	A ⁺⁺	A ⁺⁺⁺
☐ M	< 27 %	≥ 27 %	≥ 30 %	≥ 33 %	≥ 36 %	≥ 39 %	≥ 65 %	≥ 100 %	≥ 130 %	≥ 163 %
☐ L	< 27 %	≥ 27 %	≥ 30 %	≥ 34 %	≥ 37 %	≥ 50 %	≥ 75 %	≥ 115 %	≥ 150 %	≥ 188 %
☐ XL	< 27 %	≥ 27 %	≥ 30 %	≥ 35 %	≥ 38 %	≥ 55 %	≥ 80 %	≥ 123 %	≥ 160 %	≥ 200 %
☐ XXL	< 28 %	≥ 28 %	≥ 32 %	≥ 36 %	≥ 40 %	≥ 60 %	≥ 85 %	≥ 131 %	≥ 170 %	≥ 213 %

Water heating energy efficiency under colder and warmer climate conditions

Colder: ③
 - 0,2 × ②
 = %

Warmer: ③
 + 0,4 × ②
 = %

The energy efficiency of the package of products provided for in this fiche may not correspond to its actual energy efficiency once installed in a building, as the efficiency is influenced by further factors such as heat loss in the distribution system and the dimensioning of the products in relation to building size and characteristics.

მუხლი 6. ტექნიკური დოკუმენტაცია

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული სივრცის გამათბობლების ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მიმწოდებლის სახელწოდებას და მისამართს;
- სივრცის გამათბობლის მოდელის აღწერას, რომელიც მისი მარტივად იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;
- მითითებას სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მითითებას გამოყენებული სხვა ტექნიკური სპეციფიკაციების და სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას და ხელმოწერას;

ვ) ტექნიკური პარამეტრების მითითებას:

ვ.ა) ბოილერის სივრცის გამათბობლის და კოგენერაციის სივრცის გამათბობლისთვის, მე-7 ცხრილის შესაბამისად, რაც ტექნიკურად შემოწმებულია და გამოთვლილია ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის შესაბამისად;

ვ.ბ) თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლისთვის, მე-8 ცხრილის შესაბამისად, რაც ტექნიკურად შემოწმებულია და გამოთვლილია ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის შესაბამისად;

ვ.გ) თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლისთვის, როდესაც ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება შიდა და გარე ერთეულების კომბინაციისგან შემდგარ სპეციფიკურ მოდელს, მოპოვებულია დიზაინის საფუძველზე გაგაცემებული გამოთვლის გზით ან/და სხვა კომბინაციების ექსტრაპოლაციის შედეგად, ასეთი გამოთვლის ან ექსტრაპოლაციის დეტალებს, ასევე იმ გამოცდის დეტალებს, რომლებიც ტარდება გამოთვლების სისწორის შესამოწმებლად და მოიცავს მათემატიკური მოდელის დეტალებს, რაც საჭიროა ასეთი კომბინაციების შესრულების გამოსათვლელად და ამ მოდელის შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარებული ტექნიკური შემოწმების დეტალებს;

ზ) ნებისმიერი სპეციფიკური სიფრთხილის ზომის შესახებ მითითებას, რაც მიღებული უნდა იქნეს სივრცის გამათბობლის აწყობის, დამონტაჟების ან ექსპლუატაციის დროს.

2. კომბინირებული გამათბობლებისთვის, მესამე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მიმწოდებლის სახელწოდებას და მისამართს;

ბ) კომბინირებული გამათბობლის მოდელის აღწერას, რომელიც მისი მარტივად იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;

გ) მითითებას სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მითითებას გამოყენებული სხვა ტექნიკური სპეციფიკაციების და სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას და ხელმოწერას;

ვ) ტექნიკური პარამეტრების მითითებას:

ვ.ა) ბოილერის კომბინირებული გამათბობლისთვის, მე-7 ცხრილით დადგენილი ტექნიკური პარამეტრები, რაც ტექნიკურად შემოწმებულია და გამოთვლილია ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის შესაბამისად;

ვ.ბ) თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის, მე-8 ცხრილით დადგენილი ტექნიკური პარამეტრები, რაც ტექნიკურად შემოწმებულია და გამოთვლილია ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის შესაბამისად;

ვ.გ) თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის, როდესაც ინფორმაცია რომელიც უკავშირდება შიდა და გარე ერთეულების კომბინაციისგან შემდგარ სპეციფიკურ მოდელს, მოპოვებულია დიზაინის საფუძველზე გაგაცემებული გამოთვლის გზით ან/და სხვა კომბინაციების ექსტრაპოლაციის შედეგად, ასეთი გამოთვლის ან ექსტრაპოლაციის დეტალებს, ასევე იმ გამოცდის დეტალებს, რომლებიც ტარდება გამოთვლების სისწორის შესამოწმებლად და მოიცავს მათემატიკური მოდელის დეტალებს, რაც საჭიროა ასეთი კომბინაციების შესრულების გამოსათვლელად და ამ მოდელის შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარებული ტექნიკური შემოწმების დეტალებს;

ზ) ნებისმიერი სპეციფიკური სიფრთხილის ზომის შესახებ მითითებას, რაც მიღებული უნდა იქნეს კომბინირებული გამათბობლის აწყობის, დამონტაჟების ან ექსპლუატაციის დროს.

ცხრილი 7

ბოილერის სივრცის გამათბობლების, ბოილერის კომბინირებული გამათბობლების და კოგენერაციის სივრცის გამათბობლების ტექნიკური პარამეტრები

მოდელები: [ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავს იმ მოდელებს, რომლებსაც ეხება ინფორმაცია]							
კონდენსაციის ბოილერი: [დიახ/არა]							
დაბალი ტემპერატურის ბოილერი: [დიახ/არა]							
B11 ბოილერი [დიახ/არა]							
კოგენერაციის სივრცის გამათბობელი: [დიახ/არა]				თუკი, აღჭურვილი დამატებითი გამათბობლით: [დიახ/არა]			
კომბინირებული გამათბობელი: [დიახ/არა]							
პოზიცია	სიმბოლო	მნიშვნელობა	ერთეული	პოზიცია	სიმბოლო	მნიშვნელობა	ერთეული
ნომინალური სითბოს მოცულობა	P_{rated}	x	კვტ	სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა	η_s	x	%
ბოილერის სივრცის გამათბობლისა და ბოილერის კომბინირებული გამათბობლისთვის: სასარგებლო სითბოს გამომუშავება				ბოილერის სივრცის გამათბობლისა და ბოილერის კომბინირებული გამათბობლისთვის: სასარგებლო ეფექტურობა			
ნომინალურ სითბოს მოცულობაზე და დაბალი ტემპერატურის რეჟიმში	P_4	x,x	კვტ	ნომინალურ სითბოს მოცულობაზე და მაღალი ტემპერატურის რეჟიმში	η_4	x,x	%
ნომინალური სითბოს მოცულობის 30%-ზე და დაბალი ტემპერატურის რეჟიმში	P_1	x,x	კვტ	ნომინალური სითბოს მოცულობის 30%-ზე და დაბალი ტემპერატურის რეჟიმში	η_1	x,x	%
კოგენერაციის სივრცის გამათბობლებისთვის: სასარგებლო სითბოს გამომუშავება				კოგენერაციის სივრცის გამათბობლებისთვის: სასარგებლო ეფექტურობა			
კოგენერაციის სივრცის გამათბობლის ნომინალურ სითბოს	$P_{CHP100+Su_{p0}}$	x,x	კვტ	კოგენერაციის სივრცის გამათბობლის ნომინალურ სითბოს	$\eta_{CHP100+Sup0}$	x,x	%

მოცულობაზე, როდესაც დამატებითი გამათბობელი გამორთულია				მოცულობაზე, როდესაც დამატებითი გამათბობელი გამორთულია			
კოგენერაციის სივრცის გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობაზე, როდესაც დამატებითი გამათბობელი ჩართულია	$P_{CHP100+Su}$ $p100$	x,x	კვტ	კოგენერაციის სივრცის გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობაზე, როდესაც დამატებითი გამათბობელი ჩართულია	$\eta_{CHP100+Sup100}$	x,x	%
კოგენერაციის სივრცის გამათბობლები: ელექტრული ეფექტურობა				დამატებითი გამათბობელი			
კოგენერაციის სივრცის გამათბობლის ნომინალურ სითბოს მოცულობაზე, როდესაც დამატებითი გამათბობელი გამორთულია	$\eta_{el,CHP100+S}$ $up0$	x,x	%	ნომინალური სითბოს მოცულობა	P_{sup}	x,x	კვტ
კოგენერაციის სივრცის გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობაზე, როდესაც დამატებითი გამათბობელი ჩართულია	$\eta_{el,CHP100+S}$ $up100$	x,x	%	მოხმარებული ენერგიის წვლილის ტიპი			
დამხმარე ელექტროენერგიის მოხმარება				სხვა საკითხები			
სრულ დატვირთვაზე	el_{max}	x,x	კვტ	ლოდინის სითბოს დანაკარგი	P_{stby}	x,x	კვტ
ნაწილობრივ დატვირთვაზე	el_{min}	x,x	კვტ	სანთურის ენერგომოხმარება	P_{ign}	x,x	კვტ

ლოდინის რეჟიმში	P_{SB}	x,xxx	კვტ	წლიური ენერგომოხმარება	Q_{HE}	x	კვტ.სთ ან GJ
				ხმის სიმძლავრის დონე, შიგნით	L_{WA}	x	dB
კომბინირებული გამათბობლებისთვის:							
დეკლარირებული დატვირთვის პროფილი				წყლის გათბობის ენერგოეფექტურობა	η_{wh}	x	%
დღიური ელექტროენერგიის მოხმარება	Q_{elec}	X,xxx	კვტ.სთ	დღიური საწვავის მოხმარება	Q_{fuel}	x,xxx	კვტ.სთ
წლიური ელექტროენერგიის მოხმარება	AEC	x	კვტ.სთ	წლიური საწვავის მოხმარება	AFC	x	GJ
საკონტაქტო დეტალები	მიმწოდებლის სახელი და მისამართი.						

ცხრილი 8

თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლებისა და თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლების ტექნიკური პარამეტრები

მოდელ(ებ)ი: [ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავს იმ მოდელ(ებ)ს, რომლებსაც ეხება ინფორმაცია]							
ჰაერი-წყლის სითბოს ტუმბო: [დიახ/არა]							
წყალი-წყლის სითბოს ტუმბო: [დიახ/არა]							
მარილწყალი-წყლის სითბოს ტუმბო: [დიახ/არა]							
დაბალი ტემპერატურის სითბოს ტუმბო: [დიახ/არა]							
დამატებითი გამათბობლით აღჭურვილი: [დიახ/არა]							
სითბოს ტუმბოს კომბინირებული გამათბობელი: [დიახ/არა]							
პარამეტრები უნდა გამოცხადდეს საშუალო ტემპერატურის გამოყენებისათვის, გარდა დაბალი ტემპერატურის სითბოს ტუმბოებისა. დაბალი ტემპერატურის სითბოს ტუმბოებისთვის, პარამეტრები უნდა გამოცხადდეს დაბალი ტემპერატურის გამოყენებისათვის.							
პარამეტრები განსაზღვრული უნდა იყოს საშუალო, უფრო ცივი და უფრო თბილი კლიმატური პირობებისთვის.							
პოზიცია	სიმბოლო	მნიშვნელობა	ერთეული	პოზიცია	სიმბოლო	მნიშვნელობა	ერთეული
ნომინალური სითბოს მოცულობა	$Prated$	x	კვტ	სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა	η_s	x	%
გათბობის დეკლარირებული მოცულობა ნაწილობრივი დატვირთვისთვის შიდა სივრცის ტემპერატურაზე 20°C და გარე სივრცის ტემპერატურაზე T_j				შესრულების განსაზღვრული კოეფიციენტი ან ძირითადი ენერგიის თანაფარდობა ნაწილობრივ დატვირთვაზე შიდა სივრცის ტემპერატურაზე 20°C და გარე სივრცის ტემპერატურაზე T_j			

T _j = − 7°C	P _{dh}	x.x	კვტ	T _j = − 7°C	COP _{d ან PER_d}	x.xx ან x.x	− ან %
T _j = +2°C	P _{dh}	x.x	კვტ	T _j = +2°C	COP _{d ან PER_d}	x.xx ან x.x	− ან %
T _j = + 7°C	P _{dh}	x.x	კვტ	T _j = + 7°C	COP _{d ან PER_d}	x.xx ან x.x	− ან %
T _j = +12°C	P _{dh}	x.x	კვტ	T _j = +12°C	COP _{d ან PER_d}	x.xx ან x.x	− ან %
T _j = ორვალენტია ნი ტემპერატურა	P _{dh}	x.x	კვტ	T _j = ორვალენტია ნი ტემპერატურა	COP _{d ან PER_d}	x.xx ან x.x	− ან %
T _j = საოპერაციო ზღვრული ტემპერატურა	P _{dh}	x.x	კვტ	T _j = საოპერაციო ზღვრული ტემპერატურა	COP _{d ან PER_d}	x.xx ან x.x	− ან %
ჰაერი-წყლის სითბოს ტუმბოსთვის: T _j = − 15°C (თუკი TOL < − 20°C	P _{dh}	x.x	კვტ	ჰაერი-წყლის სითბოს ტუმბოსთვის: T _j = − 15°C (თუკი TOL < − 20°C	COP _{d ან PER_d}	x.xx ან x.x	− ან %
ორვალენტია ნი ტემპერატურა	T _{biv}	x	°C	ჰაერი-წყლის სითბოს ტუმბოსთვის: საოპერაციო ზღვრული ტემპერატურა	TOL	x	°C
გათბობისთვის ციკლის ინტერვალის მოცულობა	P _{cyc}	x.x	კვტ	ციკლის ინტერვალის ეფექტურობა	COP _{cyc ან PER- cyc}	x.xx ან x.x	− ან %
შემცირების კოეფიციენტი	C _{dh}	x.x	-	გათბობის წყლის საოპერაციო ზღვრული ტემპერატურა	WTOL	x	°C
ენერგიის მოხმარება სხვა რეჟიმში, გარდა აქტიური რეჟიმისა				დამატებითი გამათბობელი			
გამორთული რეჟიმი	P _{OFF}	x.xxx	კვტ	ნომინალური სითბოს მოცულობა	P _{sup}	x.x	კვტ
ტერმოსტატის გამორთული რეჟიმი	P _{TO}	x.xxx	კვტ				
ლოდინის რეჟიმი	P _{SB}	x.xxx	კვტ	მოხმარებული ენერგიის ტიპი			
კარტერის გათბობის რეჟიმი	P _{CK}	x.xxx	კვტ				
სხვა პოზიციები							

მოცულობის რეგულირება		განსაზღვრული/ცვლა- დი		ჰაერი-წყლის სითბოს ტუმბოები: ნომინალური ჰაერის ნაკადის სიჩქარე, გარე სივრცეში	-	x	მ³/სთ
ხმის სიმძლავრის დონე, შიგნით/გარეთ	L_{WA}	x/x	dB	წყლის ან მარილწყალი- წყლის სითბოს ტუმბოები:			
წლიური ენერგიის მოხმარება	Q_{HE}	x	კვტ.სთ ან GJ	ნომინალური მარილწყლის ან წყლის ნაკადის სიჩქარე, გარე სივრცის ტემპერატურის გადამყვანი			
სითბოს ტუმბოს კომბინირებული გამათბობელი:							
დეკლარირებული დატვირთვის პროფილი	x			წყლის გათბობის ენერგოეფექტურობა	η_{wh}	x	%
დღიური ელექტროენერგიის მოხმარება	Q_{elec}	x.xxx	კვტ.სთ	დღიური საწვავის მოხმარება	Q_{fuel}	x.xxx	კვტ.სთ
წლიური ელექტროენერგიის მოხმარება	AEC	x	კვტ.სთ	წლიური საწვავის მოხმარება	AFC	x	GJ
საკონტაქტო დეტალები	მიმწოდებლის სახელი და მისამართი						

3. ტემპერატურის მარეგულირებლისთვის მესამე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) მიმწოდებლის სახელწოდებას და მისამართს;
- ბ) ტემპერატურის მარეგულირებლის მოდელის აღწერას, რომელიც მისი მარტივად იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;
- გ) მითითებას სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დ) მითითებას გამოყენებული სხვა ტექნიკური სპეციფიკაციების და სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ე) მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას და ხელმოწერას;
- ვ) ტექნიკური პარამეტრების მითითებას:
 - ვ.ა) ტემპერატურის მარეგულირებლის კლასის შესახებ;
 - ვ.ბ) ტემპერატურის მარეგულირებლის წვლილი სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობაში, გამოხატული %-ში, დამრგვალებული მეთაუდამდე;

ზ) ნებისმიერი სპეციფიკური სიფრთხილის ზომის შესახებ მითითებას, რაც მიღებული უნდა იქნეს ტემპერატურის მარეგულირებლის აწყობის, დამონტაჟების ან ექსპლუატაციის დროს.

4. მზის პანელებისთვის, მესამე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) მიმწოდებლის სახელწოდებას და მისამართს;
- ბ) მზის პანელის მოდელის აღწერას, რომელიც მისი მარტივად იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;
- გ) მითითებას სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დ) მითითებას გამოყენებული სხვა ტექნიკური სპეციფიკაციების და სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ე) მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას და ხელმოწერას;
- ვ) ტექნიკური პარამეტრების მითითებას (საჭიროების შემთხვევაში ტუმბოსთვის შემკრები მოწყობილობის კვანძში):

ვ.ა) შემკრები მოწყობილობის დიამეტრი A_{sol} გამოხატული m^2 -ში, დამრგვალებული მეასედამდე;

ვ.ბ) შემკრები მოწყობილობის ეფექტურობა η_{col} გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ვ.გ) ტემპერატურის მარეგულირებლის წვლილი სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობაში, გამოხატული %-ში, დამრგვალებული მეათედამდე;

ვ.დ) მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის ენერგოეფექტურობის კლასი, რომელიც განისაზღვრება I დანართის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

ვ.ე) მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის მუდმივი დანაკარგი S გამოხატული ვატში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ვ.ვ) მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის შენახვის მოცულობა V გამოხატული ლიტრში და m^3 -ში;

ვ.ზ) წლიური არა მზის სითბოს წვლილი Q_{nonsol} გამოხატული კვტ.სთ-ში ელექტროენერგიისთვის ძირითადი ენერგიის თვალსაზრისით ან/და გამოხატული კვტ.სთ-ში საწვავისთვის GCV-ს თვალსაზრისით, დატვირთვის პროფილისთვის M, L, XL და XXL საშუალო კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ვ.თ) ტუმბოს ენერგიის მოხმარება $solpump$ გამოხატული ვატში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ვ.ი) ლოდინის რეჟიმში ენერგიის მოხმარება $solstandby$ გამოხატული ვატში, დამრგვალებული მეასედამდე;

ვ.კ) წლიური დამატებითი ენერგიის მოხმარება Q_{aux} გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ზ) ნებისმიერი სპეციფიკური სიფრთხილის ზომის შესახებ მითითებას, რაც მიღებული უნდა იქნეს მზის პანელის აწყობის, დამონტაჟების ან ექსპლუატაციის დროს.

5. სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტებისთვის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) მიმწოდებლის სახელწოდებას და მისამართს;

ბ) სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტის მოდელის აღწერას, რომელიც მისი მარტივად იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;

გ) მითითებას სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მითითებას გამოყენებული სხვა ტექნიკური სპეციფიკაციების და სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას და ხელმოწერას;

ვ) ტექნიკური პარამეტრების მითითებას:

ვ.ა) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა, გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ვ.ბ) ტექნიკური რეგლამენტის III დანართის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ტექნიკური პარამეტრები;

ზ) ნებისმიერი სპეციფიკური სიფრთხილის ზომის შესახებ მითითებას, რაც მიღებული უნდა იქნეს სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტის აწყობის, დამონტაჟების ან ექსპლუატაციის დროს.

6. კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტებისთვის, მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მიმწოდებლის სახელწოდებას და მისამართს;

ბ) კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტის მოდელის აღწერას, რომელიც მისი მარტივად იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;

გ) მითითებას სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მითითებას გამოყენებული სხვა ტექნიკური სპეციფიკაციების და სტანდარტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას და ხელმოწერას;

ვ) ტექნიკური პარამეტრების მითითებას:

ვ.ა) სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობა, გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ვ.ბ) ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ტექნიკური პარამეტრები;

ზ) ნებისმიერი სპეციფიკური სიფრთხილის ზომის შესახებ მითითებას, რაც მიღებული უნდა იქნეს კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტის აწყობის, დამონტაჟების ან ექსპლუატაციის დროს.

7. ტექნიკური რეგლამენტის ამ მუხლის მიზნებისთვის:

ა) მაღალი ტემპერატურის რეჟიმი ნიშნავს 60 °C დაბრუნების ტემპერატურას გამათბობლის შესასვლელში და 80°C დინების ტემპერატურას გამათბობლის გამოსასვლელში;

- ბ) დაბალი ტემპერატურა ნიშნავს კონდენსაციის ბოილერისთვის 30°C , დაბალი ტემპერატურის ბოილერისთვის 37°C და სხვა გამათბობლებისთვის 50°C დაბრუნების ტემპერატურა (გამათბობლის შესასვლელში);
- გ) თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლებისა და თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლებისთვის, ნომინალური სითბოს მოცულობა *Prated* ტოლია გათბობისთვის დიზაინის დატვირთვის *Pdesignh*, და დამატებითი გამათბობლისთვის ნომინალური სითბოს მოცულობა *Psup* ტოლია გათბობისთვის დამატებითი მოცულობის *sup(Tj)*.
- დ) თუკი *Cdh* არ არის განსაზღვრული გაზომვის საშუალებით, მაშინ ნაგულისხმევი შემცირების კოეფიციენტი არის $Cdh = 0,9$.

მუხლი 7. ინფორმაცია, რომელიც უნდა იქნეს წარმოდგენილი პროდუქტის დისტანციური გაყიდვისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთავაზება გაკეთებულია ინტერნეტის მეშვეობით

1. სივრცის გამათბობლების დისტანციური გაყიდვისას ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:
 - ა) მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი, I დანართის პირველი პუნქტის შესაბამისად;
 - ბ) ნომინალური სითბოს მოცულობა, მათ შორის ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე (თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლებისთვის, საშუალო კლიმატურ პირობებში);
 - გ) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება III დანართის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად (თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლებისთვის, საშუალო კლიმატურ პირობებში);
 - დ) წლიური ენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად (თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლებისთვის, საშუალო კლიმატურ პირობებში);
 - ე) ხმის სიმძლავრის დონე L_{WA} , შიგნით, გამოხატული დეციბელში დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე (თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლისთვის თუ ეს შესაძლებელია);

დამატებით, კოეფიციენტის სივრცის გამათბობლებისთვის:

 - ვ) ელექტროეფექტურობა გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;
 - დამატებით თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლებისთვის:
 - ზ) ნომინალური სითბოს მოცულობა, მათ შორის, ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;
 - თ) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება III დანართის მე-4 პუნქტის შესაბამისად;
 - ი) წლიური ენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, %-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ

კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება III დანართის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

კ) ხმის სიმძლავრის დონე L_{WA} , გარეთ, გამოხატული დეციბელში დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

დამატებით, დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოებისთვის:

ლ) მითითება იმის შესახებ, რომ დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბო განკუთვნილია მხოლოდ დაბალ ტემპერატურაზე გამოყენებისთვის;

2. კომბინირებულ გამათბობლების დისტანციური გაყიდვისას ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) სივრცის გათბობისთვის, საშუალო ტემპერატურის გამოყენება; წყლის გათბობისთვის, დეკლარირებული დატვირთვის პროფილი, გამოხატული შესაბამისი ასოთი და ტიპური გამოყენების მითითება, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილის შესაბამისად;

ბ) მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი, ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად;

გ) ნომინალური სითბოს მოცულობა, მათ შორის, ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე (თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლებისთვის, საშუალო კლიმატურ პირობებში);

დ) წლიური ენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად (თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლებისთვის, საშუალო კლიმატურ პირობებში); წყლის გათბობისთვის, წლიური ენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და წლიური საწვავის მოხმარება გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება III დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად (თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლებისთვის, საშუალო კლიმატურ პირობებში);

ე) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად (თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლებისთვის, საშუალო კლიმატურ პირობებში). წყლის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად (თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლებისთვის, საშუალო კლიმატურ პირობებში);

ვ) ხმის სიმძლავრის დონე L_{WA} , შიგნით, გამოხატული დეციბელში (dB) დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე (თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) მითითება იმის შესახებ, რომ კომბინირებულ გამათბობელს შეუძლია იმუშაოს მხოლოდ არაპიკურ საათებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დამატებით, თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლებისთვის:

თ) ნომინალური სითბოს მოცულობა, მათ შორის, ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ი) სივრცის გათბობისთვის, წლიური ენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, %-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-4 პუნქტის შესაბამისად; წყლის გათბობისთვის, წლიური ელექტროენერგიის მოხმარება გამოხატული კვტ.სთ-ში საბოლოო ენერგიის თვალსაზრისით ან/და წლიური საწვავის მოხმარება გამოხატული გიგაჯოულში GCV-ს თვალსაზრისით, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

კ) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-4 პუნქტის შესაბამისად; წყლის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე, რომელიც გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

ლ) ხმის სიმძლავრის დონე L_{WA} , გარეთ, გამოხატული დეციბელში (dB) დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე.

3. სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტების დისტანციური გაყიდვისას მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი, ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი პუნქტის შესაბამისად;

ბ) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

გ) ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 ნახაზებით გათვალისწინებული ელემენტები.

4. კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტების დისტანციური გაყიდვისას ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) მოდელის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი, ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად;

ბ) სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოხატული %-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

გ) ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი და მე-3 ნახაზებით გათვალისწინებული ელემენტები;

დ) ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-5 ნახაზით გათვალისწინებული ელემენტები.

5. ამ მუხლის პირველი – მე-4 პუნქტების შესაბამისად წარმოსადგენი ყველა ინფორმაციის ზომა და შრიფტი, ბეჭდური თუ საჩვენებელი ვერსიის შემთხვევაში, უნდა იყოს მკაფიო და გასაგები.

მუხლი 8. გაზომვის და გაანგარიშების მეთოდები

ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად წარმოსადგენი ინფორმაცია მოპოვებული უნდა იქნეს სარწმუნო, უტყუარი და აღწარმოებადი გაზომვის პროცედურების შედეგად, რომელიც ითვალისწინებს გაზომვის აღიარებულ თანამედროვე მეთოდებს, ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის შესაბამისად.

მუხლი 9. ბაზარზე ზედამხედველობა

1. ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. უფლებამოსილი პირი შესაბამისობის შეფასებისას იყენებს IV დანართით გათვალისწინებულ პროცედურას.

დანართი I. ენერგოეფექტურობის კლასები

1. სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასები
 - ა) გამათბობლების სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასები, გარდა დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოებისა და დაბალ ტემპერატურაზე გამოყენებისთვის განკუთვნილი თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლებისა, განისაზღვრება მისი სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის საფუძველზე, პირველი ცხრილის შესაბამისად;
 - ბ) დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოსა და დაბალ ტემპერატურაზე გამოყენებისთვის განკუთვნილი თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლების სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასები განისაზღვრება მისი სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის საფუძველზე, მე-2 ცხრილის შესაბამისად;
 - გ) გამათბობლის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლების, თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლების და დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოებისთვის, საშუალო კლიმატურ პირობებში.

ცხრილი 1

გამათბობლების სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასები, გარდა დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოებისა და დაბალ ტემპერატურაზე გამოყენებისთვის განკუთვნილი თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლებისა

სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი	სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა η_s გამობატული %-ში
A ⁺⁺⁺	$\eta_s \geq 150$
A ⁺⁺	$125 \leq \eta_s < 150$
A ⁺	$98 \leq \eta_s < 125$
A	$90 \leq \eta_s < 98$
B	$82 \leq \eta_s < 90$
C	$75 \leq \eta_s < 82$
D	$36 \leq \eta_s < 75$
E	$34 \leq \eta_s < 36$
F	$30 \leq \eta_s < 34$
G	$\eta_s < 30$

ცხრილი 2

დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოებისა და დაბალ ტემპერატურაზე გამოყენებისთვის განკუთვნილი თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასები

სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი	სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობა η_s გამობატული %-ში
A ⁺⁺⁺	$\eta_s \geq 175$
A ⁺⁺	$150 \leq \eta_s < 175$
A ⁺	$123 \leq \eta_s < 150$
A	$115 \leq \eta_s < 123$
B	$107 \leq \eta_s < 115$
C	$100 \leq \eta_s < 107$

D	$61 \leq \eta_s < 100$
E	$59 \leq \eta_s < 61$
F	$55 \leq \eta_s < 59$
G	$\eta_s < 55$

2. წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასები

ა) კომბინირებული გამათბობლის წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი განისაზღვრება მისი წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის საფუძველზე, მე-3 ცხრილის შესაბამისად.

ბ) კომბინირებული გამათბობლის წყლის გათბობის ენერგოეფექტურობა გამოითვლება ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

ცხრილი 3

კომბინირებული გამათბობლის წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასები, დაყოფილია დეკლარირებული დატვირთვის პროფილების მიხედვით, η_{wh} გამოხატული %-ში

	3XS	XXS	XS	S	M	L	XL	XXL
A+++	$\eta_{wh} \geq 62$	$\eta_{wh} \geq 62$	$\eta_{wh} \geq 69$	$\eta_{wh} \geq 90$	$\eta_{wh} \geq 163$	$\eta_{wh} \geq 188$	$\eta_{wh} \geq 200$	$\eta_{wh} \geq 213$
A++	$53 \leq \eta_{wh} < 62$	$53 \leq \eta_{wh} < 62$	$61 \leq \eta_{wh} < 69$	$72 \leq \eta_{wh} < 90$	$130 \leq \eta_{wh} < 163$	$150 \leq \eta_{wh} < 188$	$160 \leq \eta_{wh} < 200$	$170 \leq \eta_{wh} < 213$
A+	$44 \leq \eta_{wh} < 53$	$44 \leq \eta_{wh} < 53$	$53 \leq \eta_{wh} < 61$	$55 \leq \eta_{wh} < 72$	$100 \leq \eta_{wh} < 130$	$115 \leq \eta_{wh} < 150$	$123 \leq \eta_{wh} < 160$	$131 \leq \eta_{wh} < 170$
A	$35 \leq \eta_{wh} < 44$	$35 \leq \eta_{wh} < 44$	$38 \leq \eta_{wh} < 53$	$38 \leq \eta_{wh} < 55$	$65 \leq \eta_{wh} < 100$	$75 \leq \eta_{wh} < 115$	$80 \leq \eta_{wh} < 123$	$85 \leq \eta_{wh} < 131$
B	$32 \leq \eta_{wh} < 35$	$32 \leq \eta_{wh} < 35$	$35 \leq \eta_{wh} < 38$	$35 \leq \eta_{wh} < 38$	$39 \leq \eta_{wh} < 65$	$50 \leq \eta_{wh} < 75$	$55 \leq \eta_{wh} < 80$	$60 \leq \eta_{wh} < 85$
C	$29 \leq \eta_{wh} < 32$	$29 \leq \eta_{wh} < 32$	$32 \leq \eta_{wh} < 35$	$32 \leq \eta_{wh} < 35$	$36 \leq \eta_{wh} < 39$	$37 \leq \eta_{wh} < 50$	$38 \leq \eta_{wh} < 55$	$40 \leq \eta_{wh} < 60$
D	$26 \leq \eta_{wh} < 29$	$26 \leq \eta_{wh} < 29$	$29 \leq \eta_{wh} < 32$	$29 \leq \eta_{wh} < 32$	$33 \leq \eta_{wh} < 36$	$34 \leq \eta_{wh} < 37$	$35 \leq \eta_{wh} < 38$	$36 \leq \eta_{wh} < 40$

E	$22 \leq \eta_{wh} < 26$	$23 \leq \eta_{wh} < 26$	$26 \leq \eta_{wh} < 29$	$26 \leq \eta_{wh} < 29$	$30 \leq \eta_{wh} < 33$	$30 \leq \eta_{wh} < 34$	$30 \leq \eta_{wh} < 35$	$32 \leq \eta_{wh} < 36$
F	$19 \leq \eta_{wh} < 22$	$20 \leq \eta_{wh} < 23$	$23 \leq \eta_{wh} < 26$	$23 \leq \eta_{wh} < 26$	$27 \leq \eta_{wh} < 30$	$27 \leq \eta_{wh} < 30$	$27 \leq \eta_{wh} < 30$	$28 \leq \eta_{wh} < 32$
G	$\eta_{wh} < 19$	$\eta_{wh} < 20$	$\eta_{wh} < 23$	$\eta_{wh} < 23$	$\eta_{wh} < 27$	$\eta_{wh} < 27$	$\eta_{wh} < 27$	$\eta_{wh} < 28$

3. მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის ენერგოეფექტურობის კლასები, როდესაც ის მზის პანელის ნაწილია

ა) მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის ენერგოეფექტურობის კლასი, თუკი ის მზის პანელის ნაწილია, განისაზღვრება მისი მუდმივი დანაკარგის საფუძველზე, ტექნიკური რეგლამენტის წინამდებარე დანართის მე-4 ცხრილის შესაბამისად.

ცხრილი 4

მზის ცხელი წყლის შემნახველი ავზის ენერგოეფექტურობის კლასები, თუკი ის მზის პანელის ნაწილია

ენერგოეფექტურობის კლასი	მუდმივი დანაკარგი S გამობატული ვატში, რომლის შენახვის მოცულობა არის V ლიტრში
A+	$S < 5,5 + 3,16 \cdot V^{0,4}$
A	$5,5 + 3,16 \cdot V^{0,4} \leq S < 8,5 + 4,25 \cdot V^{0,4}$
B	$8,5 + 4,25 \cdot V^{0,4} \leq S < 12 + 5,93 \cdot V^{0,4}$
C	$12 + 5,93 \cdot V^{0,4} \leq S < 16,66 + 8,33 \cdot V^{0,4}$
D	$16,66 + 8,33 \cdot V^{0,4} \leq S < 21 + 10,33 \cdot V^{0,4}$
E	$21 + 10,33 \cdot V^{0,4} \leq S < 26 + 13,66 \cdot V^{0,4}$
F	$26 + 13,66 \cdot V^{0,4} \leq S < 31 + 16,66 \cdot V^{0,4}$


G	$S > 31 + 16,66 \cdot V^{0,4}$
---	--------------------------------

დანართი II. ეტიკეტი

1. სივრცის გამათბობლები

1.1. (ეტიკეტი 1)

1.1.1. ბოილერის სივრცის გამათბობლის ეტიკეტი, რომელიც კლასიფიცირდება სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺⁺-დან G-მდე



ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) – I. მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;

ა.ბ) – II. მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი;

ა.გ) – III. სივრცის გათბობის ფუნქცია;

ა.დ) – IV. I დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი; ბოილერის სივრცის გამათბობლის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ ინფორმაციის შემცველი ისრის თავი


მოთავსებული უნდა იყოს იგივე სიმალლეზე, როგორც იმ ისრის თავი, რომელზეც დატანილია ინფორმაცია შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ;

ა.ე) – V. ნომინალური სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ა.ვ) – VI. ხმის სიმძლავრის დონე LWA შენობაში, გამოხატული დეციბელში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ბ) ბოილერის სივრცის გამათბობლის ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ამ დანართის მე-5 პუნქტს.

1.1.2. კოგენერაციის სივრცის გამათბობლის ეტიკეტი, რომელიც კლასიფიცირდება სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺⁺-დან G-მდე



ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) – I. მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;

ა.ბ) – II. მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი;

ა.გ) – III. სივრცის გათბობის ფუნქცია;

ა.დ) – IV. I დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი; კოგენერაციის სივრცის გამათბობლის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ ინფორმაციის შემცველი ისრის თავი

მოთავსებული უნდა იყოს იგივე სიმაღლეზე, როგორც იმ ისრის თავი, რომელზეც დატანილია ინფორმაცია შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ;


ა.ე) – V. ნომინალური სითბოს მოცულობა, მათ შორის, ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ა.ვ) – VI. ხმის სიმძლავრის დონე LWA შენობაში, გამოხატული დეციბელში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ა.ზ) – VII. დამატებითი ელექტროენერგიის გენერაციის ფუნქცია.

ბ) კოგენერაციის სივრცის გამათბობლის ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური რეგლამენტის ამ დანართის მე-5 პუნქტს.

1.1.3. თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლების ეტიკეტი, გარდა დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოებისა, რომელიც კლასიფიცირდება სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺⁺-დან G-მდე




ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) – I. მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;

- ა.ბ) – II. მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი;
- ა.გ) – III. სივრცის გათბობის ფუნქცია, შესაბამისად, საშუალო და დაბალი ტემპერატურის გამოყენებისათვის;
- ა.დ) – IV. სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი საშუალო კლიმატურ პირობებში, შესაბამისად, საშუალო და დაბალი ტემპერატურის გამოყენებისთვის, რაც განისაზღვრება I დანართის პირველი პუნქტის შესაბამისად; საშუალო და დაბალი ტემპერატურის გამოყენებისთვის განკუთვნილი თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ ინფორმაციის შემცველი ისრის თავი მოთავსებული უნდა იყოს იგივე სიმძლევზე, როგორც იმ ისრის თავი, რომელზეც დატანილია ინფორმაცია შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ;
- ა.ე) – V. ნომინალური სითბოს მოცულობა, მათ შორის ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, საშუალო, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, შესაბამისად საშუალო და დაბალი ტემპერატურის გამოყენებისთვის, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;
- ა.ვ) – VI. ევროპული ტემპერატურის მაჩვენებელი რუკა, რომელიც აჩვენებს სამ საინდიკაციო ტემპერატურულ ზონას;
- ა.ზ) – VII. ხმის სიმძლავრის დონე LWA, შენობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გარეთ, გამოხატული დეციბელში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე.
- ბ) თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლების ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური რეგლამენტის ამ დანართის მე-5 პუნქტს.

1.1.4. დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოების ეტიკეტი, რომელიც კლასიფიცირდება სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺⁺-დან G-მდე



ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) – I. მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;

ა.ბ) – II. მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი;

ა.გ) – III. სივრცის გათბობის ფუნქცია, დაბალი ტემპერატურის გამოყენებისთვის;

ა.დ) – IV. I დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი კლიმატის საშუალო პირობებში; დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოს სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ ინფორმაციის შემცველი ისრის თავი მოთავსებული უნდა იყოს იგივე სიმაღლეზე, როგორც იმ ისრის თავი, რომელზეც დატანილია ინფორმაცია შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ;

ა.ე) – V. ნომინალური სითბოს მოცულობა, მათ შორის ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალური სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, საშუალო, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;


ა.ვ) – VI. ევროპული ტემპერატურის მაჩვენებელი რუკა, რომელიც აჩვენებს სამ საინდიკაციო ტემპერატურულ ზონას;

ა.ზ) – VII. ხმის სიმძლავრის დონე LWA, შენობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გარეთ, გამოხატული დეციბელში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე.

ბ) დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოების ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური რეგლამენტის ამ დანართის მე-5 პუნქტს.

1.2. ეტიკეტი 2


1.2.1. ბოილერის სივრცის გამათბობლების ეტიკეტი, რომლებიც კლასიფიცირდება სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A+++–დან D–მდე



ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტის წინამდებარე დანართის პირველი პუნქტის 1.1.1(ა) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაცია;


ბ) ბოილერის სივრცის გამათბობლების ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტს.

1.2.2. კოგენერაციის სივრცის გამათბობლების ეტიკეტი, რომლებიც კლასიფიცირდება სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A+++–დან D–მდე



- ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტის წინამდებარე დანართის პირველი პუნქტის 1.1.2(ა) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაცია;
- ბ) კოგენერაციის სივრცის გამათბობლების ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტს.


1.2.3. თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლების ეტიკეტი, გარდა დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოებისა, რომელიც კლასიფიცირდება სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A+++–დან D–მდე



ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტის წინამდებარე დანართის პირველი პუნქტის 1.1.3(ა) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაცია.

ბ) თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლების ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტს.

1.2.4. დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოების ეტიკეტი, რომელიც კლასიფიცირდება სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A+++–დან D–მდე




ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტის წინამდებარე დანართის პირველი პუნქტის 1.1.4(ა) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაცია.

ბ) დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოების ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტს.

2. კომბინირებული გამათბობლები

2.1. ეტიკეტი 1

2.1.1 ბოილერის კომბინირებული გამათბობლების ეტიკეტი, რომელიც კლასიფიცირდება სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺⁺-დან G-მდე და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A-დან G-მდე




ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა.ა) – I. მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;
- ა.ბ) – II. მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი;
- ა.გ) – III. სივრცის გათბობისა და წყლის გათბობის ფუნქცია, რომელიც მოიცავს დეკლარირებული დატვირთვის პროფილს, აღნიშნულს შესაბამისი ასოთი, III დანართის მე-15 ცხრილის შესაბამისად;
- ა.დ) – IV. I დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასები; ბოილერის კომბინირებული გამათბობლის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ ინფორმაციის შემცველი ისრის თავი მოთავსებული უნდა იყოს იგივე სიმაღლეზე, როგორც იმ ისრის თავი, რომელზეც დატანილია ინფორმაცია შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ;
- ა.ე) – V. ნომინალური სითბოს მოცულობა, გამოხატული კვტ-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;
- ა.ვ) – VI. ხმის სიმძლავრის დონე LWA შენობაში, გამოხატული დეციბელში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;
- ა.ზ) – VII. ბოილერის კომბინირებული გამათბობლებისთვის, რომლებსაც შეუძლია მუშაობა მხოლოდ არაპიკურ საათებში, ტექნიკური რეგლამენტის წინამდებარე დანართის „დ“ ქვეპუნქტის მე-11 აღნიშვნით გათვალისწინებული პიქტოგრამა შეიძლება დაემატოს.

ბ) ბოილერის კომბინირებული გამათბობლების ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური რეგლამენტის წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტს.

2.1.2. თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლების ეტიკეტი, რომელიც კლასიფიცირდება სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺⁺-დან G-მდე და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A-დან G-მდე



ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) – I. მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;

ა.ბ) – II. მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი;

ა.გ) – III. სივრცის გათბობის ფუნქცია, საშუალო ტემპერატურის გამოყენებისთვის და წყლის გათბობის ფუნქცია, რომელიც მოიცავს დეკლარირებული დატვირთვის პროფილს, აღნიშნული შესაბამისი ასოთი, III დანართის მე-15 ცხრილის შესაბამისად;

ა.დ) – IV. სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი საშუალო ტემპერატურის გამოყენებისთვის საშუალო კლიმატურ პირობებში და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი საშუალო კლიმატურ პირობებში, განსაზღვრული I დანართის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად; თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ ინფორმაციის შემცველი ისრის თავი მოთავსებული უნდა იყოს იგივე სიმაღლეზე, როგორც იმ ისრის თავი, რომელზეც დატანილია ინფორმაცია შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ;

ა.ე) – V. ნომინალური სითბოს მოცულობა, რომელიც მოიცავს ნებისმიერი დამატებითი გამათბობლის ნომინალურ სითბოს მოცულობას, გამოხატული კვტ-ში, საშუალო, უფრო ცივ და უფრო თბილ კლიმატურ პირობებში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

ა.ვ) – VI. ევროპული ტემპერატურის მაჩვენებელი რუკა, რომელიც აჩვენებს სამ საინდიკაციო ტემპერატურულ ზონას;


ა.ზ) – VII. ხმის სიმძლავრის დონე LWA, შენობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გარეთ, გამოხატული დეციბელში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე.

ა.თ) – VIII. თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის შემთხვევაში, რომელიც მუშაობს მხოლოდ არაპიკურ საათებში, წინამდებარე დანართის „დ“ ქვეპუნქტის მე-12 აღნიშვნით გათვალისწინებული პიქტოგრამა შეიძლება დაემატოს.

ბ) თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლების ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური რეგლამენტის წინამდებარე დანართის მე-10 პუნქტს.

2.2 ეტიკეტი 2

2.2.1. ბოილერის კომბინირებული გამათბობლების ეტიკეტი, რომლებიც კლასიფიცირდება სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺⁺⁺-დან D-მდე და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺-დან F-მდე



I, II

III


IV

VI, V, VII

ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს წინამდებარე დანართის მე-2 პუნქტის 2.1.1.(ა) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაცია.

ბ) ბოილერის კომბინირებული გამათბობლის ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური რეგლამენტის წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტს.

2.2.2 თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლების ეტიკეტი, რომლებიც კლასიფიცირდება სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺⁺⁺-დან D-მდე და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺-დან F-მდე




ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს წინამდებარე დანართის მე-2 პუნქტის 2.1.2.(ა) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაცია.

ბ) თბური ტუმბოს კომბინირებული გამათბობლის ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტს.

3. სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტების ეტიკეტი

სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტების ეტიკეტი, რომლებიც კლასიფიცირდება სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺⁺⁺-დან G-მდე



ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) – I. დილერის ან/და მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;

ა.ბ) – II. დილერის ან/და მიმწოდებლის მოდელ(ებ)ის იდენტიფიკატორი;

ა.გ) – III. სივრცის გათბობის ფუნქცია;

ა.დ) – IV. I დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული სივრცის გამათბობლის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი;


ა.ე) – V. მითითება, შეიძლება თუ არა მზის შემკრები მოწყობილობა, ცხელი წყლის შემნახველი ავზი, ტემპერატურის მარეგულირებელი ან/და დამატებითი სივრცის გამათბობელი იყოს სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის ნაწილი;

ა.ვ) – VI. სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი, განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად; სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ ინფორმაციის შემცველი ისრის თავი მოთავსებული უნდა იყოს იგივე სიმაღლეზე, როგორც იმ ისრის თავი, რომელზეც დატანილია ინფორმაცია შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ;

ბ) სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური რეგლამენტის მე-11 პუნქტს. სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტივით, რომელიც კლასიფიცირდება სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A+++–დან D–მდე, ბოლო კლასები E–დან G–მდე A+++–დან G–მდე შკალაზე შეიძლება გამოტოვებული იქნეს.

4. კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტების ეტიკეტი

კომბინირებული სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტების ეტიკეტი, რომლებიც კლასიფიცირდება სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A+++–დან G–მდე



ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა.ა) – I. დილერის ან/და მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;
- ა.ბ) – II. დილერის ან/და მიმწოდებლის მოდელ(ებ)ის იდენტიფიკატორი;
- ა.გ) – III. სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ფუნქცია, მათ შორის განსაზღვრული დატვირთვის პროფილი, რომელიც ამ ტექნიკური რეგლამენტის III დანართის მე-15 ცხრილში გამოხატულია შესაბამისი ასოთი;
- ა.დ) – IV. ამ ტექნიკური რეგლამენტის I დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული კომბინირებული გამათბობლის სეზონური სივრცის გათბობის და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასები;
- ა.ე) – V. მითითება, შეიძლება თუ არა მზის შემკრები მოწყობილობა, ცხელი წყლის შემნახველი ავზი, ტემპერატურის მარეგულირებელი ან/და დამატებითი სივრცის გამათბობელი იყოს კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის ნაწილი;
- ა.ვ) – VI. კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი, განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად;


კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ ინფორმაციის შემცველი ისრის თავი მოთავსებული უნდა იყოს იგივე სიმაღლეზე, როგორც იმ ისრის თავი, რომელზეც დატანილია ინფორმაცია შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ;

ა.ზ) – VII. კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად; კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ ინფორმაციის შემცველი ისრის თავი მოთავსებული უნდა იყოს იგივე სიმაღლეზე, როგორც იმ ისრის თავი, რომელზეც დატანილია ინფორმაცია შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის შესახებ;

ბ) კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტის ეტიკეტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური რეგლამენტის წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტს. კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლის და მზის პანელის კომპლექტივით, რომელიც კლასიფიცირდება სეზონური სივრცის გათბობის ან/და წყლის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასში A⁺⁺⁺-დან D-მდე, ბოლო კლასები E-დან G-მდე A⁺⁺⁺-დან G-მდე შკალაზე შეიძლება გამოტოვებული იქნეს.

5. ეტიკეტის დიზაინი

ა) ბოილერის სივრცის გამათბობლების ეტიკეტს უნდა ჰქონდეს შემდეგი დიზაინი:



ამასთან:

ა.ა) ეტიკეტი უნდა იყოს არანაკლებ 105 მმ-ის სიგანის და 200 მმ სიმაღლის. როდესაც ეტიკეტი დაბეჭდილია უფრო დიდი ფორმატით, მისი შინაარსი მაინც უნდა დარჩეს ზემოთ მოცემული სპეციფიკაციების პროპორციული.

ა.ბ) ფონი უნდა იყოს თეთრი.

ა.გ) ფერები უნდა იყოს ცისფერი, მეწამული, ყვითელი და შავი (CMYK) შემდეგი მაგალითის შესაბამისად: 00-70-X-00: 0% ცისფერი, 70 % მეწამული, 100 % ყვითელი, 0% შავი;


ა.დ) ეტიკეტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნას (რიცხვები მიესადაგება ზემოთ მოცემულ სურათს):

- ❶ ევროკავშირის ეტიკეტის კიდეები: 4 pt – ფერი: ცისფერი 100% – მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ.
- ❷ ევროკავშირის ლოგო: ფერები: X-80-00-00 და 00-00-X-00.
- ❸ ენერგიის ეტიკეტი: ფერი: X-00-00-00. პიქტოგრამა, როგორც სურათზეა ნაჩვენები: ევროკავშირის ლოგო + ენერგიის ეტიკეტი: სიგანე: 86 მმ, სიმაღლე: 17 მმ.
- ❹ ქველოგოების კიდე: 1 pt – ფერი: ცისფერი 100%, სიგრძე: 86 მმ.
- ❺ სივრცის გათბობის ფუნქცია:
 - პიქტოგრამა, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები.
- ❻ A++-G და A+++ -D შკალები, შესაბამისად:
 - ისარი: სიგრძე: 5 მმ, დაშორება: 1.3 მმ – ფერები:
 - უმაღლესი კლასი: X-00-X-00,
 - მეორე კლასი: 70-00-X-00,
 - მესამე კლასი 30-00-X-00,
 - მეოთხე კლასი: 00-00-X-00,
 - მეხუთე კლასი: 00-30-X-00,
 - მეექვსე კლასი: 00-70-X-00,
 - მეშვიდე კლასი: 00-X-X-00,
 - მერვე კლასი: 00-X-X-00,
 - ბოლო კლასი: 00 – X – X -00.
 - ტექსტი: „Calibri“, მუქი შრიფტი 14 pt, დიდი ასოები, თეთრი; „+“ სიმბოლოები: მინაწერი, განთავსებული ერთ ხაზზე;
 - ისარი: სიგრძე: 7 მმ, დაშორება: 1 მმ – ფერები:
 - უმაღლესი კლასი: X-00-X-00,
 - მეორე კლასი: 70-00-X-00,
 - მესამე კლასი 30-00-X-00,
 - მეოთხე კლასი: 00-00-X-00,
 - მეხუთე კლასი: 00-30-X-00,
 - მეექვსე კლასი: 00-70-X-00,
 - ბოლო კლასი: 00 – X – X -00.

- ტექსტი: „Calibri“, მუქი შრიფტი 16 pt, დიდი ასოები, თეთრი; „+“ სიმბოლოები: მინაწერი, განთავსებული ერთ ხაზზე;
- 7 სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი:
 - ისარი: სიგანე: 22 მმ, სიმაღლე 12 მმ, 100 % შავი.
 - ტექსტი: „Calibri“, მუქი შრიფტი 24 pt, დიდი ასოები, თეთრი; „+“ სიმბოლოები: მინაწერი, განთავსებული ერთ ხაზზე;
- 8 ხმის სიმძლავრის დონე, შიგნით:
 - პიქტოგრამა, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები.
 - კიდე: 2pt, ფერი: ცისფერი 100%, მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ,
 - მნიშვნელობა „YZ“: „Calibri“, მუქი შრიფტი 20 pt, 100% შავი,
 - ტექსტი „dB“: „Calibri“, ჩვეულებრივი შრიფტი 15 pt, 100% შავი.
- 9 ნომინალური სიბრტყის მოცულობა:
 - კიდე: 2 pt, ფერი: ცისფერი 100%, მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ.
 - მნიშვნელობა „YZ“: „Calibri“, მუქი შრიფტი 45 pt, 100% შავი;
 - ტექსტი „კვტ“: „Calibri“, ჩვეულებრივი შრიფტი 30 pt, 100% შავი;
- 10 ეტიკეტის შემოღების წელი და რეგულაციის ნომერი:
 - ტექსტი: „Calibri“, მუქი შრიფტი 10 pt;
- 11 მიმწოდებლის სახელი ან სავაჭრო ნიშანი.
- 12 მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი.

მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი და მოდელის იდენტიფიკატორი უნდა განთავსდეს 86 X 12 მმ ფორმატში.

ბ) კოგენერაციის სივრცის გამათბობლის ეტიკეტს უნდა ჰქონდეს შემდეგი დიზაინი:



ამასთან:

ბ.ა) ეტიკეტი უნდა იყოს არანაკლებ 105 მმ-ის სიგანის და 200 მმ სიმაღლის. როდესაც ეტიკეტი დაბეჭდილია უფრო დიდი ფორმატით, მისი შინაარსი მაინც უნდა დარჩეს ზემოთ მოცემული სპეციფიკაციების პროპორციული.

ბ.ბ) ფონი უნდა იყოს თეთრი.

ბ.გ) ფერები უნდა იყოს ცისფერი, მეწამული, ყვითელი და შავი (CMYK) შემდეგი მაგალითის შესაბამისად: 00-70-X-00: 0% ცისფერი, 70 % მეწამული, 100 % ყვითელი, 0% შავი;

ბ.დ) ეტიკეტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნას (რიცხვები მიესადაგება ზემოთ მოცემულ სურათს):

- ❶ ევროკავშირის ეტიკეტის კიდეები: 4 pt, ფერი: ცისფერი 100% – მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ.
- ❷ ევროკავშირის ლოგო: ფერები: X-80-00-00 და 00-00-X-00.
- ❸ ენერგიის ეტიკეტი: ფერი: X-00-00-00. პიქტოგრამა, როგორც სურათზეა ნაჩვენები: ევროკავშირის ლოგო + ენერგიის ეტიკეტი: სიგანე: 86 მმ, სიმაღლე: 17 მმ.
- ❹ ქველოგოების კიდე: 1 pt – ფერი: ცისფერი 100%, სიგრძე: 86 მმ.

5 სივრცის გათბობის ფუნქცია:

- პიქტოგრამა, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები.

6 A++-G და A+++ -D შკალები, შესაბამისად:

- ისარი: სიგრძე: 5 მმ, დაშორება: 1.3 მმ – ფერები:
- უმაღლესი კლასი: X-00-X-00,
- მეორე კლასი: 70-00-X-00,
- მესამე კლასი 30-00-X-00,
- მეოთხე კლასი: 00-00-X-00,
- მეხუთე კლასი: 00-30-X-00,
- მეექვსე კლასი: 00-70-X-00,
- მეშვიდე კლასი: 00-X-X-00,
- მერვე კლასი: 00-X-X-00,
- ბოლო კლასი: 00 – X – X -00.
- ტექსტი: „Calibri“, მუქი შრიფტი 14 pt, დიდი ასოები, თეთრი; „+“ სიმბოლოები: მინაწერი, განთავსებული ერთ ხაზზე;
- ისარი: სიგრძე: 7 მმ, დაშორება: 1 მმ – ფერები:
- უმაღლესი კლასი: X-00-X-00,
- მეორე კლასი: 70-00-X-00,
- მესამე კლასი 30-00-X-00,
- მეოთხე კლასი: 00-00-X-00,
- მეხუთე კლასი: 00-30-X-00,
- მეექვსე კლასი: 00-70-X-00,
- ბოლო კლასი: 00 – X – X -00.
- ტექსტი: „Calibri“, მუქი შრიფტი 16 pt, დიდი ასოები, თეთრი; „+“ სიმბოლოები: მინაწერი, განთავსებული ერთ ხაზზე;

7 სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი:

- ისარი: სიგანე: 22 მმ, სიმაღლე 12 მმ, 100 % შავი.
- ტექსტი: „Calibri“, მუქი შრიფტი 24 pt, დიდი ასოები, თეთრი; „+“ სიმბოლოები: მინაწერი, განთავსებული ერთ ხაზზე;

8 ხმის სიმძლავრის დონე, შიგნით:

- პიქტოგრამა, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები.
- კიდე: 2pt, ფერი: ცისფერი 100%, მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ,
- მნიშვნელობა „YZ“: „Calibri“, მუქი შრიფტი 20 pt, 100% შავი,
- ტექსტი „dB“: „Calibri“, ჩვეულებრივი შრიფტი 15 pt, 100% შავი.

9 ნომინალური სიბრტყის მოცულობა:

- კიდე: 2 pt, ფერი: ცისფერი 100%, მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ.
- მნიშვნელობა „YZ“: Calibri“, მუქი შრიფტი 45 pt, 100% შავი;
- ტექსტი „კვტ“: Calibri“, ჩვეულებრივი შრიფტი 30 pt, 100% შავი;

10 ელექტროენერგიის ფუნქცია:

- პიქტოგრამა, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები.

- კიდე: 2pt, ფერი: ცისფერი 100%, მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ,

11 ეტიკეტის შემოღების წელი და რეგულაციის ნომერი:


- ტექსტი: Calibri, მუქი შრიფტი 10 pt;

12 მიმწოდებლის სახელი ან სავაჭრო ნიშანი.

13 მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი.

მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი და მოდელის იდენტიფიკატორი უნდა განთავსდეს 86 X 12 მმ ფორმატში.

გ) თბური ტუმბოს სივრცის გამათბობლის ეტიკეტს უნდა ჰქონდეს შემდეგი დიზაინი:



ამასთან:

გ.ა) ეტიკეტი უნდა იყოს არანაკლებ 105 მმ-ის სიგანის და 200 მმ სიმაღლის. როდესაც ეტიკეტი დაბეჭდილია უფრო დიდი ფორმატით, მისი შინაარსი მაინც უნდა დარჩეს ზემოთ მოცემული სპეციფიკაციების პროპორციული.

გ.ბ) ფონი უნდა იყოს თეთრი.

გ.გ) ფერები უნდა იყოს ცისფერი, მეწამული, ყვითელი და შავი (CMYK) შემდეგი მაგალითის შესაბამისად: 00-70-X-00: 0% ცისფერი, 70 % მეწამული, 100 % ყვითელი, 0% შავი;

გ.დ) ეტიკეტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნას (რიცხვები მიესადაგება ზემოთ მოცემულ სურათს):

- ❶ ევროკავშირის ეტიკეტის კიდეები: 4 pt, ფერი: ცისფერი 100% – მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ.
- ❷ ევროკავშირის ლოგო: ფერები: X-80-00-00 და 00-00-X-00.
- ❸ ენერგიის ეტიკეტი: ფერი: X-00-00-00. პიქტოგრამა, როგორც სურათზეა ნაჩვენები: ევროკავშირის ლოგო + ენერგიის ეტიკეტი: სიგანე: 86 მმ, სიმაღლე: 17 მმ.
- ❹ ქველოგოების კიდე: 1 pt – ფერი: ცისფერი 100%, სიგრძე: 86 მმ.
- ❺ სივრცის გათბობის ფუნქცია:
 - პიქტოგრამა, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები.
- ❻ საშუალო და დაბალი ტემპერატურის გამოყენება:
 - ტექსტი 55 °C და 35 °C: „Calibri” ჩვეულებრივი შრიფტი 14 pt, 100% შავი.
- ❼ A++-G და A+++ -D შკალები, შესაბამისად:
 - ისარი: სიგრძე: 5 მმ, დაშორება: 1.3 მმ – ფერები:
 - უმაღლესი კლასი: X-00-X-00,
 - მეორე კლასი: 70-00-X-00,
 - მესამე კლასი: 30-00-X-00,
 - მეოთხე კლასი: 00-00-X-00,
 - მეხუთე კლასი: 00-30-X-00,
 - მეექვსე კლასი: 00-70-X-00,
 - მეშვიდე კლასი: 00-X-X-00,
 - მერვე კლასი: 00-X-X-00,
 - ბოლო კლასი: 00 – X – X -00.
 - ტექსტი: „Calibri“, მუქი შრიფტი 14 pt, დიდი ასოები, თეთრი; „+“ სიმბოლოები: მინაწერი, განთავსებული ერთ ხაზზე;
 - ისარი: სიგრძე: 7 მმ, დაშორება: 1 მმ – ფერები:
 - უმაღლესი კლასი: X-00-X-00,
 - მეორე კლასი: 70-00-X-00,
 - მესამე კლასი: 30-00-X-00,
 - მეოთხე კლასი: 00-00-X-00,
 - მეხუთე კლასი: 00-30-X-00,
 - მეექვსე კლასი: 00-70-X-00,
 - ბოლო კლასი: 00 – X – X -00.
 - ტექსტი: „Calibri“, მუქი შრიფტი 16 pt, დიდი ასოები, თეთრი; „+“ სიმბოლოები: მინაწერი, განთავსებული ერთ ხაზზე;
- ❽ სეზონური სივრცის გათბობის ენერგოეფექტურობის კლასი:
 - ისარი: სიგანე: 19 მმ, სიმაღლე 12 მმ, 100 % შავი.
 - ტექსტი: „Calibri“, მუქი შრიფტი 24 pt, დიდი ასოები, თეთრი; „+“ სიმბოლოები: მინაწერი, განთავსებული ერთ ხაზზე;

⑨ ხმის სიმძლავრის დონე, შიგნით (არსებობის შემთხვევაში) და გარეთ:

- პიქტოგრამა, როგორც ფოტოზემა ნაჩვენები.
- კიდე: 2pt, ფერი: ცისფერი 100%, მრგვალი კუთხეები: 3.5 მმ,
- მნიშვნელობა „YZ“: „Calibri“, მუქი შრიფტი 20 pt, 100% შავი,
- ტექსტი „dB“: „Calibri“, ჩვეულებრივი შრიფტი 15 pt, 100% შავი.

⑩ ნომინალური სიბრტყის მოცულობა:

